# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 13 აგვისტო, 2011 წელი.

№151 (6762)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge **ფასი 50 თეთრი.**




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

## შეუძლებელია ნაცები ② არ გძულდეს!..




## „ქართულ-რუსული ომის დღესასწაული“

## ილია მეორემ აჭარაში აფხაზები მონათლა



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ბათუმს სტუმრობს. პატრიარქმა წმინდა ნიკოლოზის ტაძარი მოილოცა და მას იერუსალიმიდან ჩამოტანილი ჯვარი შესწირა.

მოგვიანებით ილია მეორე ტაძარში შეკრებილ მრევლს გაესაუბრა და ის პერიოდი გაიხსენა, როდესაც ბათუმის წმინდა ნიკოლოზის ტაძარში მსახურობდა. როგორც პატრიარქმა განაცხადა, ამ ტაძართან მას 7 წელი აკავშირებს.

„წმინდა ნიკოლოზის მადლით, საქართველო მალე გაერთიანდება“, — დასძინა ილია მეორემ.

გუშინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აჭარაში მცხოვრები აფხაზები მონათლა.

ნათლობა ბათუმში საკათედრო ტაძარში გაიმართა. დღეს, 13 აგვისტოს კი პატრიარქი სარფში კოლხობის დღესასწაულს დაესწრება.

## პირველად ქართულ პრესაში



მილორად პავიჩი

## შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა

6-7

## რატომ ბრაზობს კოკოითი და რით არის უკმაყოფილო კრემლი?

3

## ... რომ ასე ცუდად გვეცხოვრა?

## ნიუ იორკის ქართული ზაფხული



11

ხუმარიტყვა იხ. 9 გვ.

## სიმღერა სააკაშვილზე

თუ ენგრე მაგარ იყავი,
რათ ვერ გამჩნევდით, მიშაო.
გადაგვილებე ფასადი,
გადაგვიხურე კრიშაო,

გომბორის გზა განაახლე,
ზე წააყარე ქვიშაო,
მაგრამა იმდენი აქე,
ვიდრე არ ჩაიხლიშაო,

შენი ლანძღვისთვინ მიტუამ
სახეში მუშტი მთხლიშაო,
წაველ ვანოსთან, ვუჩივლე,
იმანა სუ გამთიშაო,

სტრასბურგში ყასიდად ჰკითხეს,
რას ერჩი, რა დაგიშაო,
ობამამ შამამითვალა,
გაუძლებ, არა გიშაო!

გუგუზა ღულუზაური
ქ. თიანეთი



## „ტოშიბას“ 640-შრიანი კომპიუტერული ტომოგრაფი — სრულფასოვანი და ზუსტი გამოკვლევა მინიმალური დასხივებით

5



მალე ფრიდონ თოდუას ინსტიტუტში უახლესი უნიკალური აპარატი დამონტაჟდება

# შეუძლებელია ნაცები არ გძულდეს!..

**სამი წელი გავიდა რუსეთ-საქართველოს ომიდან, რომელიც, საქართველოს ხელისუფლების გარდა, ყველას ჰგონია, რომ საქართველომ წააგო.**

სამი წელი გავიდა ომიდან, რომელიც საქართველოს ხელისუფლების გარდა, ყველას ჰგონია, რომ საქართველოს პრეზიდენტის და მხედართმთავრის სულელური ავანტიურის და რუსულ ხაფანგში ოთხივე კიდურით შევარდნის შედეგი იყო.

სამი წელი გავიდა ომიდან, რომელშიც საქართველომ მისი პრეზიდენტის და კონსტიტუციის გარანტის თქმით დაკარგა, **„სულ რაღაც ორი რაიონი“,** 150-ზე მეტი სოფელი, 500-ზე მეტი მოკლული ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე, ათასამდე კაცი დაიჭრა, 40,000 დევნილად იქცა... სამაგიეროდ მიიღო 4,5 მილიარდი დოლარი!!! და განა ვინმეს მოუბრუნდება კიდევ ენა, რომ საქართველოს კონსტიტუციის გარანტს შეეპასუხოს: ეს გამარჯვება არ იყო? თქვენ ჭკუაზე ხართ? — **სულ რაღაც დაკარგული 2 რაიონი და სამაგიეროდ — 4,5 მილიარდი დოლარი??? როცა ორ რაიონში 4,5 მილიარდი იშოვა, დარჩენილ 68 რაიონს რამდენად „გააიმასქნებს“, წარმოგიდგენიათ?!!**

„ქართულ-რუსული ომის დღესასწაული“




სულ რაღაც 3 წელიწადში საქართველოს ხელისუფლებამ მოახერხა არნახული და არგაგონილი:

ის 4,5 მილიარდი დოლარი ხომ შესანსლა და ყელზე არც დადგომია. მერე ისიც მოახერხა, რომ საქართველოს საგარეო ვალი გააორმაგა! (ისე, ცოდვა გამხელილი ჯობს, **იმ 4,5 მილიარდიდან 2,5 მილიარდი ვალი იყო, ჰოდა, აბა, რას ერჩით ამ კაცს...ძ**

40,000 ლტოლვილი 3 თვით თბილისში ჩაასახლა, ხოლო შემდეგ 100,000-ზე მეტი ლტოლვილის თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან გასახლების გეგმა შეადგინა და ისე უნაკლოდ ახორციელებს, რომ რუსებმაც, აფხაზებმაც და ოსებმაც პირი დააღეს — **ეთნოწმენდა ამას რომ ცოდნია, ისე უნდა — ბარემ თავიდანვე ამისთვის გვეცლია და ჩვენ შორიდან სერიალივით გვეყურებინაო!**

დაკარგულ ტერიტორიებს დაუმატა სოფლები და ტერიტორიები რუსეთის, სომხეთის და აზერბაიჯანის საზღვრებზე. ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, მიღწეულით და ორი რაიონის დაკარგვით ხომ არ დაკმაყოფილდება?! ის ომი როგორც „მოიგო“, ახლა მშვიდობიანობის დროსაც განაგრძობებს სასაზღვრო „მოგებებს“. სასაზღვრო რაიონების დაცარიელება ხაზინის დაცარიელების პროპორციულად მიმდინარეობს. გეგმები დიდია — თურქებს — აჭარა, აზერბაიჯანელებს — გარეჯი, სომხებს — სამცხე... და ეკლესიებიც.

**განა მარტო ენა და მამული იყიდება, უკვე — სარწმუნოებაც!**

სასწრაფოდ დაასრულა აგრესორისათვის აქამდე ჯერვერგადაცემული სტრატეგიული ობიექტების გადაცემა, — ენგურჰესი, თბილისის წყალი, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა... განსაკუთრებული სასათბურე პირობები შეუქმნა რუსულ „მადნეულს“ და კიდევ მეტი — რუსულ მობილურ ოპერატორს „მობიტელს“ („ბილაინს“ძ, რომელიც „ვიმპელკომის“ საკუთრებაა და აფხაზეთშიც და ოსეთშიც ახორციელებს მობილურ კავშირს;

**ჟენევის შეხვედრაზე უცვლელად გაიძახოდა, რომ არავითარ დათმობაზე არ წავა.** ჟენევის შეხვედრებზე აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მთავრობების წევრების „გულაობის“ პარალელურად სწრაფი ტემპებით მიდიოდა თბილისიდან და საქართველოს სხვა ქალაქებიდან აფხაზეთიდან და ოსეთიდან ლტოლვილების გასახლება-გაფოცხოეწერების პროცესი.

**მაქსიმალურად გააძვირა ყველაფერი, რომ თავად არ მოეკლო არაფერი!** წყალი, დასუფთავება, მუნიციპალური ტრანსპორტი, ხორცი, შაქარი, ბენზინი, ჯარიმები... - რათა საქართველოს მოსახლეობამ ფასების ევროპული დონითმაინც იგრძნოს, რომ სულ უფრო ახლოს ვართ ნანატრ ევროპასთან;

**ჩაკლა მცირე და საშუალო ბიზნესის ის დარჩენილი მცირეოდენი კერები, რომლითაც ჯერ კიდევ თავს ირჩენდა ხალხი** — გარემოვაჭრეები, სამარშრუტე ტაქსების მძღოლები, ძიძები, რეპეტიტორები, ბაზრობაზე მოვაჭრეები — ისინი შეუერთდნენ მსოფლიოში ყველაზე თავისუფალი ბიზნესის იარლიყიანი ქვეყნის უმუშევართა არმიას, რომელსაც არაფერი დარჩენია იმის გარდა, რომ არჩევნებზე თავისი ხმის და სინდისის გაყიდვის იმედად იყოს. ხოლო თუ მანამდე ვერ მიაღწევს, დროზე აიბარგოს „სინათლის ქალაქიდან“ და „ნიცა-კანიდან“ და საკუთარი ოჯახის გადასარჩენად ევროპის დამლაგებელ-მომვლელთა მრავალმილიონიანი არმია შეავსოს;

**მოაწერა ხელი რეადმისიის ხელშეკრულებას ევროკავშირთან, რომლის ძალითაც სწორედ იმ ევროპაში ემიგრანტთა უკან გადმოსახლების პროცესი დაიწყება.** ეს იმისთვის სჭირდება, რომ არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა გაზარდოს და ადრე მომუშავე და ოჯახის მარჩენალი ხალხი და მათი ოჯახები უმუშევრებად და ისევ იმ დამშეულ საარჩევნო ფარად აქციოს, 10-ლარიანის დანახვით, 100-დოლარიანი პენსიის ცრუდაპირებით, ციხეში ჩასმის ან ნარკოტიკის ჩადების მუქარით, რასაც უნდა, იმას გააკეთებინებს!

**ობამას შეხვდა!!! ობამას შეხვდაააააააააააა! ობამას ხელი ჩამოართვა და... 80 მეძავიც იქირავა ევროპელი პოლიტიკოსების თვალის დასაფსებად!!!**

**მონოპოლია გაუკეთა მონოპოლიებს** — ლატარია, ბენზინი, მშენებლობა, ბანკები, ვაჭრობა, სურსათი, უნივერსიტეტები, სასტუმროები!!! ბათუმის ტექნიკური უნივერსიტეტის დამაარსებელი მისი დედაა! ბათუმის „რედისონის“ მოწილე — კლავიატურაზე მოკაკუნე მისი რეკორდსმენი შვილი!!! რა ოჯახია! რა ტალანტი — ა, ტალანტი!

**ჩამოიყვანა, მარა რა ჩამოიყვანა!** კუტუნიოებს გასცდა და მოაგროვა დიდებული კოლექცია — ბრაიან ადამსი (რუსების ფულით!ძ, პლასიდო დომინგო, ანდრია ბოჩელი, სტინგი, ენრიკე და თავად შერონი!!! მოახდინა თბილისის შერონიზაცია და ბათუმის იგლესიასიზაცია! დიდმა ბასტარდმა დადგა ბლოკბასტერი! ნაყოფიას ნაყოფმა ეკრანზე ხომ მაინც მოგვაგებინა დიდი ომი და პუტინისგან თბილისში ჩამოსულმა შერონმა იტირა ისე მაგრად, რომ პრეზიდენტი ენდი გარსია თბილისიდან სასწრაფოდ პუტინთან წავიდა...

**ჟურნალისტიკა აქცია ჩერგოლეისტიკად და ფიგოვი ლისტიკად!** ჟურნალისტები აქცია პიარისტებად და პრესმდივნებად, ცოლებად და ისე... ვინც არ ისურვა ლაქიობა და ბოზობა, დაუკეტა ყველა არხი და ბოლოს შპიონებადაც გამოაცხადა იმის გამო, რომ თურმე თბილისელი პენსიონერის ტელეფონის ნომერზე რეკავდნენ... „მოდელირებული ქრონიკა“ დადგა — მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე დიდი სიაფანდობა! ამით ხალხს უთხრა, მაშინ ხომ მე ვჭამე ჰალსტუხი, ახლა თქვენ გიჩვენებთ, შეშინება როგორ უნდაო...

**და ამდენი ჯაშუშების დაჭერა?! განა ვინმეს ოდესმე სადმე დაუჭერია დიდი ქვეყნის ამდენი ჯაშუში?**

განა ვინმეს აუხდენია დიდი ლოზუნგი — „ყოველ 3 კაცში ოთხი აგენტია!“ მარტო ამერიკის საელჩოს „ამფეთქებელი კოჭოია“ რად ღირდა?! რად ღირდა იმედის ეზოში მიმოზნეული ტროტილიანი „ტუშონკები“ და „ბამბანერკები“, 6 თვის მერე ფეხქვეშ რომ ააცალეს მარადმომღიმარე ნოდარიკო მელაძეს და მარადიულ ლაშა ხარაზიშვილს! რად ღირდა ენვერი და იმის აღიარება, რომ ყოველი მესამე სამხედრო მფრინავი თურმე ჯაშუში იყო...

**და ხალხზე ძალადობა?** — ლტოლვილებზე, მოვაჭრეებზე, ინვალიდებზე, ექიმებზე, მძღოლებზე, მოსწავლეებზე... პოლიცია და სპეცნაზი ისევ ხალხზე დაგეშილ ძაღლებად აქცია... 26 მაისი... თავისუფლების დღის სისხლიანი აღლუმი, როცა სისხლიანი რუსთაველი ნაუცბათევად მორეცხეს საცეკვაოდ და მეძღლეების დასარიგებლად... ხალხზე მუდმივი, ყოველდღიური ძალადობა — დაგიჭერთ... გაგასახლებთ... სამსახურიდან გაგიშვებთ... შვილს დაგიჭერთ... სახლს დაგინგრევთ... ბიზნესს წაგართმევთ... 112 მილიონი წურბელების მიერ ნაშოვნი — საპროცესო გარიგებებით და ხალხის სისხლის წოვით...

**ომის მერე 3 წელი გავიდა და ქვეყანა სულ უფრო უკან მიდის... ოღონდ ეს უკანსვლა საზეიმო ალაფურშეტებით და ფეირვერკებითაა გასხივოსნებული!** ალბათ, საბოლოოდ რომ ჩაიძირება ფელინის გემივით, ბათუმის პიაცაზე ოპერის ვარსკვლავები იმღერებენ ვერდის „ნაბუკოს“...

**ახლა ამდგარან და ყაყაჩოები დაუბნევიათ ამ ტაკიმასხარებს... ვითომ გლოვობენ... სინამდვილეში კი დაგვცინიან** — ჩვენი უბედურებით გადაუწყვეტიათ საკუთარი ბედნიერების შენება... ზეიმობენ... აკი თქვა ერთმა აღზევებულმა - „რუსეთ-საქართველოს ომის დღესასწაულიო“... რატო არ ეზეიმებათ?.. უკვე გამზადებული აქვთ საპარლამენტო არჩევნებში დამშეული ხალხის მოსასყიდლად ხალხისგანვე ჯიბიდან ამოცლილი მილიონები...

მე არასოდეს მქონდა იმდენი რწმენა, რომ ნაცებისთვის, რომელთაც ადამიანის ცემის და დამცირების მეტი არაფერი იციან, ქრისტიანობის გამო ლოყები მეშვირა და მოყვასივით მყვარებოდა...

ახლაც ასე მჯერა - ეს არაკაცები, რომლებმაც ხალხის უბედურებით მოიწყვეს ბედნიერი ბუდე და ხალხის გარყვნით აპირებენ მუდამ ზეობას, უნდა გვძულდეს! არ შეიძლება მოძალადე გიყვარდეს და ეგუებოდე ძალადობას... ისინი არ არიან ჩვენი სისხლი და ხორცი... ისინი ჩვენს სისხლს და ხორცს გადაშენებით ემუქრებიან...

**კარგად უნდა მოვიფიქროთ, როგორ მოვიშოროთ ეს მაჯლაჯუნები!**

**სოლომონ თერნალი**

Presage.tv

## ◉ ინფორმაცია



### დიდგორობა დიდგორის ველზე აღინიშნა

**დიდგორობასთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიებები გუშინ დიდგორის ველზე გაიმართა.**

**დიდგორის მემორიალური კომპლექსის სცენაზე თეატრალიზებულ-მუსიკალური წარმოდგენა გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ მსახიობები, ანსამბლი „ქართული ხმები“ მომღერლები ნუკრი კაპანაძე, მერაბ სეფაშვილი, სოფო ბედია, აჩიკო ნიჟარაძე.**

**ასევე, დიდგორის ველზე დიდგორის ბრძოლის ამსახველი ფრაგმენტები გააცოცხლეს. გაიმართა ჯირითი და დოღი, ტურნირი ჭიდაობასა და მკლავჭიდში.**

**დიდგორობას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, საპარლამენტო უმრავლესობისა და „ქრისტიან-დემოკრატების„ წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. საზეიმო ღონისძიებებზე მიწვეულნი იყვნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.**

**დღესვე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის გადაწყვეტილებით, წალკა-მანგლისის ეპარქიის ეპისკოპოსს, მეუფე ანანიას, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქეობა მიანიჭეს.**

**— დიდგორი არის ყველაზე დიდი ქართული გამარჯვების სიმბოლო, სიმბოლო იმისა, რომ ქართული სახელმწიფო არის უკვდავი. დიდგორი არის სიმბოლო და იმედი ჩვენი მომავალი გამარჯვებისა, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ.**

### ვინ ყიდულობს „თბილისის წყალს“?

**„თავისუფალი დემოკრატების„ ინფორმაციით, „თბილისის წყლის„ ხელახალი გაყიდვა იგეგმება.**

**როგორც „თბილისის წყლის“ ოფისთან გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, საუბარია მომარაგების ნაწილის გაყიდვაზე, ხოლო „ჟინვალის წყალი„ არსებულ ინვესტორს რჩება.**

**მისი თქმით, „თბილისის წყლის„ მომარაგების შესყიდვას აპირებს ერთ-ერთი ქართული ბანკი, თუმცა აბაშიძემ არ დააკონკრეტა, რომელ ქართულ ბანკზეა საუბარი.**

**ზურაბ აბაშიძის ინფორმაციით, „თბილისის წყლის“ გაყიდვა იგეგმება გაუმჭვირვალედ, როგორც ეს „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერის“ შემთხვევაში მოხდა. მისი განცხადებით, ეს გამოიწვევს წყლის გადასახადის გაძვირებას.**

ჯი-ეიჩ-ენი

აი, „დამოუკიდებლობა!“

# ... რომ ასე ცუდად გვეცხოვრა?

**ცხინვალის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის, რუსეთის მიერ დაპირებული 6 მილიარდის ათვისებას, თავად რუსეთის ფედერაციის რეგიონალური განვითარების მინისტრი აკონტროლებს. სერგეი ვერეშჩაგინი ამ თანამდებობაზე 2 თვის წინ დაინიშნა და ცხინვალში უკვე 4-ჯერ იყო ჩასული. ამის მიზეზი სულაც არ გახლავთ ის, რომ ვერეშჩაგინი სამაჩაბლოს აყვავებაზე ოცნებობს. მან ის სამინისტრო ჩაიბარა, რომელიც რუსეთში ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ უწყებად დიდი ხანია სახელდება. სწორედ რეგიონალური სამინისტროს მაღალჩინოსნებს მიაწერენ რუსეთის ბიუჯეტიდან ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკებისათვის და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისათვის გამოყოფილი თანხების განიავებას, რომ აღარაფერი ვთქვათ უკვე ადგილზე ჩასული ფულის ადგილობრივი რეჟიმების მიერ მიტაცებაზე.**

მას შემდეგ, რაც ცხინვალის რეგიონი რუსეთის ბიუჯეტზე დამოკიდებული გახდა, სად დაიკარგა ფედერალური 21 მილიარდი, არავინ იცის. ის, რომ პროკურატურა ამ საქმეებს არცთუ სერიოზულად იხილავს და იძიებს, ნიშნავს, რომ ე.წ. „ატკატებში“ საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირები მონაწილეობენ რუსეთშიც და ცხინვალშიც. ყოველ შემთხვევაში, ასე სჯერა ადგილობრივ მოსახლეობას, რადგან ვერც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის და ვერც 1991 წლის კონფლიქტის დროს დაზარალებულმა ოჯახებმა, რუსული ფულის სიკეთე საკუთარ თავზე დღემდე ვერ იგრძნეს.

ახლაც, რუსეთის მიერ დაპირებული 6 მილიარდიდან ნახევარი სოციალური ობიექტების მშენებლობაზე უნდა დაიხარჯოს, თუმცა პროგრამის დასახელება სულაც არ შეესაბამება მის შინაარსს და ეს ფული არა ბაღების, სკოლების ან პოლიკლინიკების ასაშენებლად დაიხარჯება, არამედ დრამატულ თეატრსა და საუნივერსიტეტო კომპლექსზე, რომელთა აღსადგენადაც 350 მილიონია საჭირო.



ერთ-ერთი ადგილობრივი ამბობს, რომ ვიდრე ცხინვალში მუზეუმებსა და სასახლეებს აშენებენ, ხალხს ისევ გაუსაძლის პირობებში, წყლისა და გაზის გარეშე ცხოვრება უწევს. საკუთარ ქალაქში დევნილებად რჩებიან არა მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზარალებულები, არამედ ისინიც, ვისაც სახლ-კარი 1991 წლის კონფლიქტის დროს გაუნადგურდა. ამ უკანასკნელთა მდგომარეობა საერთოდ უიმედოა, რადგან როგორც თავად ამბობენ, რუსული დახმარება მხოლოდ აგვისტოს ომის მსხვერპლთა დაკმაყოფილებაზეა გათვლილი, „ძველი დევნილებისათვის“ კი, როგორც კოკოითს განუცხადებია, „მთავრობას ამ ფულის დახარჯვის უფლება არ აქვს“.

ცხინვალში დაგეგმილი ე.წ. არჩევნების ფონზე რეჟიმის ლიდერები „აღდგენით პროგრამას“ ახლა დიდ ყურადღებას უთმობენ. თუმცა, ამ თვალსაზრისით, მაინც არაფერი იცვლება. რამდენიმე დღის წინ მიწისქვეშა კომუნიკაციებზე მიმდინარე სამუშაოები კოკოითმა და ვერეშჩაგინმა ერთად დაათვალიერეს, მაგრამ სამუშაოების ტემპისა და ხარისხის გამო აღშფოთება ვერ დამალეს.

რუსეთი და სეპარატისტი ლიდერები მოსახლეობას ეკონომიკის აყვავებას ტურიზმის განვითარების ხარჯზეც ჰპირდებიან, თუმცა, ბიუჯეტში ამისათვის თანხები, ჯერჯერობით, გამოყოფილი არ არის. ე.წ. ამბიციურ პროექტებში კი ფულის დაბანდებას თავად რუსი ინვესტორებიც ერიდებიან. ხოლო იმის გამო, რომ ცხინვალის რეგიონი, ისევე როგორც აფხაზეთი, მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული, კრემლს კრიტიკოსები გამოუჩნდნენ, — რა დროს ცხინვალი და სოხუმია, როცა მოსკოვს საკუთარი რეგიონებისათვის ვერ მოუვლია, — ამბობენ ისინი.

თუმცა, ცხადია, რომ მოსკოვიცა და სეპარატისტებიც ჯერ კიდევ კარგად ითბობენ ხელს რუსულ ფულზე. სწორედ რუსეთის რეგიონალური სამინისტროს პროტეჟე, ცხინვალის რეჟიმის ე.წ. პრემიერ-მინისტრი ვადიმ ბროვცევი, თავის დროზე დიდი და სკანდალური აფიორის მთავარ მოქმედ გმირადაც დასახელდა, თუმცა, პროკურატურის სერიოზული ყურადღების ღირსი, დღემდე, არც ერთი საქმე არ გამხდარა. რიგითი მოსახლეობა უკვე ასეთ კითხვას სვამს: **„გვილირდა კი დამოუკიდებლობა იმად, რომ ასეთ უპერსპექტივობაში ვიცხოვროთ?“**

**თეა ინასარიძე,**
Presa.ge

რუსულ-ოსური კორუფცია

# რატომ ბრაზობს კოკოითი და რით არის უკმაყოფილო კრემლი?

**რუსული კორუფცია რომ დაუძლეველი პრობლემაა და მისი დამარცხებისთვის თავსაც არავინ იწუხებს, ყველამ იცის. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დანგრეული ცხინვალის აღდგენასთან დაკავშირებით კოკოითისთვის მიცემული პირობა სწორედ ამ კორუფციის გამო ვერ ხერხდება.**

2008 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში დაწყებული აღდგენითი სამუშაოები მიმდინარე წლის 1 აგვისტოს უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ჯერჯერობით გეგმის ნახევარიც კი არ არის შესრულებული. მართალია ამბობენ, რუსეთის ბიუჯეტიდან ცხინვალისთვის სიცოცხლის დასაბრუნებლად მილიარდობით რუბლი გამოიყოო, მაგრამ ფაქტი ჯიუტია, ქალაქი ისევ დანგრეულია. მილიარდობით რუბლის ნახევარზე მეტი და კიდევ უფრო მეტი, ალბათ სწორედ იმ კორუმპირებული ჩინოვნიკების ძირგახვრეტილ ჯიბეებში ჩადის, რომლებიც ასე დაუნდობლად სწოვენ სისხლს „სამხრეთ ოსეთის“ რეგიონს.



კოკოითი ბრაზობს... მიმართავს კრემლს... კრემლი ყურსაც არ იბერტყავს... თუმცა, თვე ისე არ გავა, რომ ცხინვალს „დიდი რუსეთიდან“ სტუმარი არ ეწვიოს. ჩავა, ნახავს, გაბრაზდება, მითითებებს მისცემს და კვლავ უკან დაბრუნდება, საქმე კი ერთ ადგილზე დგას და არ იძვრის. ამის შემდეგ, კოკოითი კვლავ ბრაზობს და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, განა იმაზე ბრაზობს, რომ საქმე გასაკეთებელი რჩება, არა, მას სურს, რომ დაფინანსება, რომელიც ორგანიზაციების, ეგრეთ წოდებული, სამხრეთი დირექციების გავლით ნაწილდება, დე ფაქტო რესპუბლიკის მმართველობას გადააბარონ და იმედს იძლევა, რომ სამშენებლო სამუშაოები თვალის დახამხამებაში დასრულდება, მაგრამ ამის იმედი ალბათ მხოლოდ კოკოითს აქვს და მისი თავად რუსეთსაც კი არ სჯერა.

საქმე კი ისაა, რომ 2008 წლის დასაწყისში სამშენებლო კომპანიები დე ფაქტო ხელისუფლების მიმართ იყვნენ ვალდებულნი და გამოყოფილი ბიუჯეტიც მათ ხელში იყო, თუმცა კრემლმა დაინახა, რომ კოკოითის ხელისუფლებაში მილიარდობით რუბლი იკარგებოდა. ახლა კი კოკოითმა ცხინვალში ჩასულ რუსეთის ფედერაციის რეგიონალური განვითარების მინისტრის მოადგილეს სერგეი ვერეშჩაგინს გაუმხილა, რომ ძველი დროისადმი ნოსტალგია შემოექალა და ბიუჯეტის მისი მმართველობისთვის გადაცემა მოსთხოვა. რა მნიშვნელობა აქვს ვინ ანაწილებს ფულს, არც ერთ შემთხვევაში და არც მეორე შემთხვევაში ეს საქმეზე არ აისახება.

რუსულ-ოსური კორუფცია უზომოდ დიდია. ისეთი დიდი, რომ საქმის გასაკეთებლად რესურსები აღარ რჩება. კოკოითის წარსულის ნოსტალგია კი ვერეშჩაგინმა უპასუხოდ დატოვა.

**ელენე გელაშვილი,**
Presa.ge

განათლება

# ვის ჩაუვარდა ბიზნესი და ვინ ჩავარდა „ქერის ორმოში?“

## რატომ ასაიდუმლოებს განათლების სამინისტრო ინფორმაციას გრიფირებული სასწავლო წიგნებით ბაზრობათა გამართვის უფლების მქონე კომპანიების შესახებ?

**განათლების სამინისტროსა და რამდენიმე ორგანიზაციას შორის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის საფუძველზეც 30 აგვისტომდე ყველა დიდ ქალაქში — თბილისში, ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, რუსთავში, ფოთში, თელავსა და გორში რამდენიმე დისტრიბუტორი კომპანია სასკოლო სახელმძღვანელოების ბაზრობებს გამართავს.**

როგორც სამინისტროში განმარტავენ, მემორანდუმი სოციალური ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით გაფორმდა და გრიფირებული სახელმძღვანელოს ფასი 10 ლარზე მეტი არ იქნება.

„პირველი“ მთელი დღის განმავლობაში ცდილობდა სამინისტროში ინფორმაციის მოძიებას იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელ კომპანიებთან გაფორმდა მემორანდუმი და რა პრინციპით შეირჩნენ ისინი. სამინისტროს პრესსამსახურში ჯერ კითხვების ელექტრონული ფოსტით გაგზავნა ითხოვეს, შემდეგ ინფორმაციის მოწოდებას შესვენების საათის დასრულებისთანავე, მოგვიანებით — დღის ბოლოსთვის დაგვპირდნენ, თუმცა შემდეგ საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადა მოიშველიეს და პასუხს თავი აარიდეს.



**„თქვენ ხომ არ გგქონიათ, რომ მოცლილი ვარ?! თქვენს გარდა, კიდევ ბევრი ჟურნალისტი მირეკავს. მე მაქვს უფლება პასუხი 10 დღის ვადაში გაგცეთ. ახლა პასუხს არ გაგცემთ“!** — განუცხადეს „პირველს“ დიმიტრი შაშკინის უწყების პრესსამსახურში და მათ მიერ გავრცელებული პიარმასალით დაკმაყოფილებისკენ მოგვიწოდეს.

სამაგიეროდ, სამინისტროში განმარტავენ, რომ საინფორმაციო პლაკატები თუ სად გაიყიდება სასკოლო წიგნები 1 სექტემბრიდან, საქართველოს მასშტაბით ყველა სკოლაში განთავსდება.

ამასთან, შაშკინის უწყება ყველა მშობელს მოუწოდებს, სახელმძღვანელოები მხოლოდ ასეთ ობიექტებზე შეიძინონ.

სამინისტროს აღნიშნული ღონისძიება მინისტრის პირველმა მოადგილემ იმ გარემოებით ახსნა, რომ „არავის არ ექნება მცდელობა, ისპეკულანტოს და სხვის ხარჯზე ჯიბე გაისქელოს“.

აღსანიშნავია, რომ იმ კომპანიებს გარდა, რომელთა წარმომავლობა სრულიად გაურკვეველია, აღნიშნულ ბაზარზე ნებისმიერი სხვა კომპანიის მუშაობა არალეგალურად ჩაითვლება და მას სამართლის ძალით პასუხისგება მოუწევს.

როგორც ჩანს, ვიღაცას ბიზნესი ჩაუვარდა, „ვიღაც“ კი „ქერის ორმოში ჩავარდა“.

**„პირველი“**

ინფორმაცია

## კოკოითი მზადაა მიწა 99-წლიანი იჯარით რუს ბიზნესმენებზე გასცეს

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი რუს ბიზნესმენებთან თანამშრომლობას იმედოვნებს და მზადაა მათ 99-წლიანი იჯარით მისცეს მიწა, ამის შესახებ ედუარდ კოკოითმა ახალგაზრდული ფორუმის „ირისტონ 2011“-ის მონაწილეებთან შეხვედრისას განაცხადა.**

**მისი თქმით, კაზაკებისთვის მიწის გადაცემასთან ერთად მოხდება, აუთვისებელ ტერიტორიებზე განსახლება, იქ მეურნეობების განვითარება და თავდაცვისუნარიანობის გამტკიცება. ასევე არის იმედები დამატებით ინვესტიციებთან დაკავშირებით რუს ბიზნესმენებთან თანამშრომლობით.**

**— მე ამის შესახებ პირველად ვამბობ, ჯერ ეს გეგმები არ გვქონდა გახმაურებული, მაგრამ ეჭვიც არ გვეპარება, რომ მხარს დამიჭერენ, — განაცხადა კოკოითმა.**

**მისი თქმით, სამხრეთ ოსეთი და რუსეთი უნდა გახდნენ მოკავშირე სახელმწიფოები. მან მადლობა გადაუხადა რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს იმ წვლილისთვის, რომელიც მათ სამხრეთ ოსეთის აღორძინებაში შეაქვთ.**

ჯი-ეიჩ-ენი

დაუსრულებელი დევნილობა



# რად ვატარებთ ისედაც გამწარებულ-გაუბედურებულ ადამიანებს ხელმეორედ ერთხელ უკვე გამოვლილ ჯოჯოხეთის ქურაში?

**უახლოეს დღეებში თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე ყოფილი სასტუმრო „აფხაზეთის“ შენობიდან დევნილთა გამოსახლება იგეგმება.**

**ამ შენობაში გასული საუკუნის 90-იან წლებში მაშინდელმა ხელისუფლებამ ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მისახლეობა შეასახლა. მაშინ ეს იყო საკუთარი მიწიდან გამოყრილი ქართველების პირველი კომპაქტური დასახლება შუაგულ თბილისში.**

დევნილებმა სასტუმროს ნომრები, რომლებიც მრავალრიცხოვანი ოჯახების საცხოვრებლად არ იყო განკუთვნილი, ათასგვარი გადაკეთება-გადმოკეთების შედეგად, შეძლებისდაგვარად, მოარგეს ახალ პირობებს, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა შენობის ინტერიერი. შემდეგ პირველ სართულზე ხანძარიც გაჩნდა, გამურული კედლების შეღებვა არავის უფიქრია. ასე გადაიქცა ქალაქის ცენტრში წამოდგმული სახეშეცვლილი შენობა საქართველოს სხეულზე გაჩენილი ჭრილობის თვალსაჩინო გამოხატულებად, შესაბამისად მისი დევნილებისგან დაცლაც ქვეყნის მთლიანობის აღდგენასთან ასოცირდებოდა... სასტუმრო დევნილებისგან იცლება, თუმცა სხვა მიზეზით...

უახლოეს დღეებში, როგორც ვთქვი, დევნილებს შენობას დაატოვებინებენ. ხელისუფლება მათ შინ ვერ აბრუნებს, მაგრამ სთავაზობს ალტერნატიულ გზას – რუსთავში ჩასახლებას, მაგრამ რაკი რუსთავში მათთვის განკუთვნილი ახალი საცხოვრებელი მზად არ არის, მანამდე, ასევე დროებით, ქირით გაიყვანენ.



ამგვარად დევნილებს, რომლებიც 20 წლის განმავლობაში ახალ საცხოვრებელ ადგილს გარკვეულწილად შეეჩვივნენ, კვლავ მოუწევთ დედაბუდიანად აყრა და ახალ საცხოვრებელ გარემოსთან და პირობებთან შეგუება, ანუ ყველაფრის თავიდან დაწყება...

როგორც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აცხადებს, დევნილთა გამოსახლება სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის თანახმად მიმდინარეობს. წლის დასაწყისში სულ თბილისის ტერიტორიაზე არსებული 25 ობიექტის დაცლა დაიგეგმა.

სამინისტროს მიერ ნახსენები სახელმწიფო გეგმის „აგრესიული განხორციელება“ პირველად 2011 წლის 20 იანვარს დაიწყო, როდესაც ბაგებში მდებარე სტუდენტთა საერთო საცხოვრებელს პოლიციამ დილის 6 საათზე ალყა შემოარტყა. რაკი იქ მცხოვრებმა 60-მა ოჯახმა უარი განაცხადა შენობის დატოვებაზე, პოლიციამ ძალას მიმართა.

დევნილთა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში გასამგზავრებლად იქვე მობილიზებული იყო სატვირთო მანქანები და ავტობუსები. პილიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით რამდენიმე მამაკაცი დააპატიმრეს, ხოლო ქალებს 400-ლარიანი ჯარიმა გამოუწერეს.

მომდევნო დღეს ისეთივე აქცია ჩატარდა ვაჟა-ფშაველას მე-3 მიკრორაიონში, სადაც კოდორის ხეობიდან დევნილი 22 ოჯახი საპატრულო და კრიმინალური პოლიციის ძალით გამოასახლეს. 18 ივლისს ვარკეთილში მდებარე საბავშვო ბაღიდან ლტოლვილთა გამოსახლების შემზარავი კადრები კი, რომელსაც გონიერებასთან არანაირი საერთო არა აქვს, მთელმა საქართველომ იხილა. იგივე პროცესები მიდის საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში.

**არავინ დავობს, რომ პრობლემას, რომელსაც ლტოლვილთა საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგება და განსაზღვრა ჰქვია, მოსაგვარებელია, მაგრამ ეს არ უნდა გაკეთდეს ისე, რომ, ამ ასედაც გაწვალებულ ადამიანებს ერთხელ განცდილი ჯოჯოხეთი ხელმეორედ გამოვატაროთ. მათი გასახლება იმ ადგილიდან, სადაც ავად თუ კარგად, წლების მანძილზე მოახერხეს დამკვიდრება, ამ მხრივ სრულიად უპერსპექტივო ადგილებში, არა პრობლემის გადაწყვეტას, არამედ ამ ადამიანების თავიდან მოშორებას უფრო ჰგავს.**

დავუბრუნდეთ სასტუმრო „აფხაზეთში“ მცხოვრებ დევნილებს. მათი განცხადებით, ხელისუფლების შეთავაზება, 10 000-იანი კომპენსაცია ან რუსთავში დროებითი საცხოვრებლებით დაკმაყოფილება, მიუღებელია. ისინი ითხოვენ – კომპენსაცია იყოს რეალური, რომლითაც თბილისის მასშტაბით საცხოვრებელ ბინებს შეიძენენ და არ გაუუარესდებათ მდგომარეობა.

უშუალოდ სასტუმრო „აფხაზეთი“ კი უკვე გაყიდულია. მისი ახალი მფლობელია შპს „ვილაჯიო“, რომლის წარმომადგენელია ვინმე ლევან კალმახელიძე.



**დავით შალიკაშვილი,**
ინტერპრესი

პოლიტიკური ტაროსი

# აფხაზებმა იციან, რომ რუსეთი მათ შთანთქმას აპირებს

**განიხილება თუ არა აფხაზეთში რუსეთთან შეერთების საკითხი, რას შეცვლის 26 აგვისტოს დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნები, რომელ კანდიდატს აქვს გამარჯვების მეტი შანსი? — ამ და სხვა საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ სოხუმში გამომავალი გაზეთის, „ნუჟნაიას“ რედაქტორს იზიდა ჭანიას ესაუბრა.**



**— აფხაზეთში დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება. რა შეცვალა სერგეი ბაღაფშის გარდაცვალებამ პოლიტიკურ ცხოვრებაში გარდა იმისა, რომ დღის წესრიგში არჩევნების გამართვა დადგა?**

— პარლამენტში ბაღაფშის ძველი გუნდი დარჩა. მართალია, სხვადასხვა სახით, მაგრამ ეს გუნდი არჩევნებში მაინც მიიღებს მონაწილეობას. ვფიქრობ, რომ არჩევნების შემდეგაც კი მოსალოდნელი არ არის გლობალური ცვლილებები საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში.

**— არჩევნებში სამი კანდიდატი იყრის კენჭს: რაულ ხაჯიმბა, ალექსანდრე ანქვაბი და სერგეი შამბა. არის თუ არა მათ წინასაარჩევნო კამპანიასა და პროგრამებში საერთო მიმართულებები, რით ჰგავს და განსხვავდება მათი წინასაარჩევნო დაპირებები?**

— წინასაარჩევნო პროგრამა მხოლოდ ორ კანდიდატს – ხაჯიმბასა და შამბას აქვთ. ანქვაბს საკუთარი პროგრამა არ წარმოუდგენია. საერთო ყველა კანდიდატს ერთი აქვს – საგარეო პოლიტიკის მიმართულება. რაც შეეხება საშინაო საკითხებს, ყველა მათგანი გამოხატავს მზადყოფნას, ებრძოლოს კორუფციას, განახორციელოს განათლების სისტემისა და სოციალური უზრუნველყოფის რეორგანიზაცია, ყურადღება მიაქციოს სოფლის მეურნეობას და ასე შემდეგ. ზოგადად, როგორც ხდება ხოლმე, კანდიდატთა სტანდარტულ დაპირებათა სრულ პაკეტთან გვაქვს საქმე. შამბა გამოსვლებში გრანდიოზულ საკადრო ცვლილებებზე აკეთებს აქცენტს, ხაჯიმბა – საზოგადოების კონსოლიდაციასა და კოალიციური მთავრობის შექმნაზე, ანქვაბი კი ამტკიცებს, რომ „ბაღაფშის საქმეს“ გააგრძელებს.

**— როგორ ფიქრობთ, რომელ კანდიდატს აქვს გამარჯვების მეტი შანსი, ზოგადად, არჩევნების შედეგებზე როგორ გავლენას იქონიებს კრემლი? თბილისში ამბობენ, რომ აფხაზეთში პოლიტიკური პროცესების ბედი სწორედ მოსკოვში წყდება . . .**

— რას ვიზამთ, საქართველო და აფხაზეთი პატარა ქვეყნებია და, ბუნებრივია, ვიღაცის გავლენა ყოველთვის იარსებებს. არც ახლანდელი არჩევნები იქნება გამონაკლისი, რადგან რუსეთს აფხაზეთთან დაკავშირებით განსაზღვრული გეოპოლიტიკური და ფინანსური ინტერესები აქვს, თუმცა აფხაზეთის არჩევნებში რუსეთის ღია ჩარევა არ იგრძნობა. ამასთან, როგორც თქვენ ამბობთ, მოსკოვი ჯერ კიდევ მერყეობს ანქვაბსა და შამბას კანდიდატებს შორის, თუმცა რუსეთისთვის არც არსებითი განსხვავება არ არის მათ შორის. ოდნავ განსხვავებულია რუსეთის პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულება რაულ ხაჯიბმას მიმართ, რომელიც ოპოზიციის ლიდერობის დროს რუსეთსა და აფხაზეთს შორის დადებული ხელშეკრულებების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდა და მუდამ ნაციონალური ინტერესების პოზიციიდან საუბრობდა.

**— იქონიებს თუ არა არჩევნების შედეგი რაიმე სახით გავლენას ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე?**

— თუ საპრეზიდენტო კანდიდატების პერსონებიდან გამომდინარე ვისაუბრებთ, ნამდვილად არა.

**— ზოგი ქართველი ექსპერტი ფიქრობს, რომ ალექსანდრე ანქვაბის განცხადება საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულების მიღების აუცილებლობის შესახებ, იძლევა გარკვეულ პოზიტიურ სიგნალს ქართულ-აფხაზური ურთიერთობისთვის. რამდენად რეალურია ასეთი პროგნოზი? საინტერესოა, როგორი აზრია ამ საკითხზე აფხაზეთის მოსახლეობაში?**

— სამშვიდობო ხელშეკრულების იდეა ანქვაბს არ ეკუთვნის. თუ სწორად მახსოვს, მსგავსი დოკუმენტის ხელმოწერაზე საუბარი ჯერ კიდევ არძინბას დროს დაიწყო. „ჩვენ ძალისხმევას არ დავიშურებთ საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოსაწერად“, – ეს განცხადება ხაჯიმბას წინასაარჩევნო პროგრამიდან არის. დაახლოებით ასეთივე განცხადება აქვს შამბასაც. როგორც ვიცი, ასეთი დოკუმენტის ხელმოწერაზე საქართველო ამბობს უარს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ქართველ ექსპერტებს სურთ სენსაცია ცარიელ ადგილზე გააჩინონ. გადაიკითხონ აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნებისმიერი განცხადება – ყველა მათგანშია გამოთქმული მზადყოფნა, საქართველოსა და აფხაზეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შესახებ.

**რუსეთთან შეერთების საკითხი არ განიხილება. ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან შთანთქმის საფრთხე, ბუნებრივია, არსებობს. თუმცა, საქართველოს აქვს შესაძლებლობა, შეცვალოს მდგომარეობა, უპირველეს ყოვლისა, სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერით.**

**— ოფიციალური მოსკოვი აფხაზეთში ყველასთვის დამოუკიდებლობის და უსაფრთხოების გარანტია, თუ არიან ადამიანები, რომლებიც ამას უნდობლად უყურებენ და საფრთხეს ხედავენ? რამდენიმე დღის წინათ რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთების საკითხი რეგიონში მცხოვრები მოქალაქეების გადასაწყვეტია.**

— რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა სამი წლის წინათ აღიარა და, რა თქმა უნდა, ეს ჩვენს განვითარებაზე გარკვეულ კვალს ტოვებს, რადგან სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსის 60%, დახმარების სახით, სწორედ რუსეთისგან მოდის. მაგრამ, რუსეთთან შეერთების საკითხი არ განიხილება. ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან შთანთქმის საფრთხე, ბუნებრივია, არსებობს. თუმცა, საქართველოს აქვს შესაძლებლობა, შეცვალოს მდგომარეობა, უპირველეს ყოვლისა, სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერით და ასევე აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებით. ვფიქრობ, რომ ეს სწორი პოლიტიკური ნაბიჯი იქნებოდა.

**მალხაზ ჭკადუა**

მაძიებელი გონი

# „ტოშიბას“ 640-შრიანი კომპიუტერული ტომოგრაფი — სრულფასოვანი და ზუსტი გამოკვლევა მინიმალური დასხივებით

## მალე თოდუას ინსტიტუტში უახლესი უნიკალური აპარატი დამონტაჟდება


ფრიდონ თოდუა

***თანამედროვე** მედიცინა წარმოუდგენელია უახლესი ტექნოლოგიების გარეშე, საქართველოს მედიცინის განვითარება — კლინიკური დიაგნოსტიკის სამეცნიერო ინსტიტუტის გარეშე, რომელსაც საზოგადოება თოდუას ინსტიტუტის სახელით იცნობს. ამ სამედიცინო დაწესებულებას ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში უწოდებდნენ XXI საუკუნის კლინიკას და — დამსახურებულადაც.*

***როგორც ინსტიტუტის სულისჩამდგმელი, ფაქტობრივი დამაარსებელი და დირექტორი ფრიდონ თოდუა ბრძანებს, ძირითადი სიმდიდრე, რითაც შეუძლია იამაყოს ქართველმა ერმა, მისი ინტელექტუალური პოტენციალია. სწორედ ასეთმა გონიერმა ადამიანებმა მოიყარეს თავი კლინიკური დიაგნოსტიკის სამეცნიერო ინსტიტუტში და სულ რაღაც 20 წელიწადში წარმოუდგენელ წარმატებას მიაღწიეს. მათი შრომის შედეგი კი პირდაპირპროპორციულია ადამიანის ჯანმრთელობის, მკურნალობის წარმატების, დაავადების დროული და ზუსტი დიაგნოსტიკისა....***

და რაოდენ საამაყოა, რომ თბილისში მოქმედებს სამედიცინო დაწესებულება, რომლის ორგანიზების კონცეფციაც მსოფლიოში აღიარებულია დარგის წამყვანი სპეციალისტების მიერ როგორც ორიგინალური, პერსპექტიული, წარმატებული. არც არის გასაკვირი, რადგან ამ საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისად აღჭურვილ სამედიცინო დაწესებულებაში თავმოყრილია თანამედროვე მედიცინის ცნობილი თითქმის ყველა სადიაგნოსტიკო საშუალება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას აქვს მართლაც რომ, ახალი საუკუნის საკადრისი უნიკალური სადიაგნოსტიკო და სამკურნალო აპარატურა და კვლავაც აღიარებული ლიდერია რადიოლოგიისა და ქირურგიის მთელ რიგ მიმართულებებში.

...ინსტიტუტის ისტორია 1991 წლის 25 მაისს დაიწყო, როცა საფუძველი ჩაეყარა საქართველოში მედიცინის ახალ მიმართულებას — კომპიუტერული ტომოგრაფიის განვითარებას. მას შემდეგ დამოუკიდებლად ვითარდება კლინიკური დიაგნოსტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. მაშინ, როდესაც გარშემო ყველაფერი ინგრეოდა, აქ პირიქით, სწორედ რომ, მეცნიერების განვითარებისთვის ზრუნავდნენ გონივრული და რაციონალური გათვლებით, სრულიად ახლებური ხედვითა და კაპიტალიზის რელსებზე აბსოლუტურად მიზანმიმართულად მორგებული მიდგომით მოკრძალებული დიაგნოსტიკური ცენტრი თანდათან მნიშვნელოვან სამედიცინო, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად გადაიქცა. ამ ყველაფერში კი უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის უშრეტი ენერგიის მქონე, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებულ ექიმს, მუდამ შენებასა და განვითარებაზე ორიენტირებულ პიროვნებას, უამრავი ტიტულისა და ჯილდოს მფლობელ ადამიანს — ბატონ ფრიდონ თოდუას.


მემორანდუმზე ხელმოწერის დროს

გუშინაც, როგორც ყოველთვის, ბატონი ფრიდონი გულთბილად ხვდებოდა სტუმრებს კლინიკის ფოიეში. დეტალურად ათვალიერებინებდა იქ მიწვეულ საზოგადოებას ახალ შენობას, რომელიც სულ რაღაც ერთ წელიწადში აშენდა და აღიჭურვა, არადა გასული წლის მაისში აქ მხოლოდ საძირკველი იყო. ის, რაც შეიქმნა, აშენდა და გაკეთდა, ყველაფერი ინსტიტუტის შიდა რეზერვით მოგვარდა.

გუშინვე გაფორმდა მემორანდუმი ფირმა „ტოშიბასა“ და ინსტიტუტს შორის.

და ისევ პირველად, ტრადიციისამებრ, სამ თვეში კლინიკაში დაიდგმება უნიკალური აპარატი — რადიოლოგიის ბოლო სიტყვა — „ტოშიბას“ ფირმის 640-შრიანი კომპიუტერული ტომოგრაფი, Ag uillion One 640-slice (4D) GT Scanner, რომლის საშუალებით შესაძლებელია უმოკლეს დროში, სულ რამდენიმე წამში, ყოველგვარი ინვაზიის გარეშე, ჩატარდეს მთელი ორგანიზმის კვლევა მინიმალური სხივური დატვირთვით, რაც დღევანდელი რადიოლოგიისთვის და მთლიანად მედიცინისთვის მეტად მნიშვნელოვანია. იგი საშუალებას იძლევა, შეფასდეს გულის მკვებავი კორონალური სისხლძარღვების მდგომარეობა. მეთოდი პრაქტიკულად შეუცვლელია გარდამავალი და მწვავე ინსულტების დროს. შესაძლებელია არა მარტო სისხლის მიმოქცევის პარამეტრების შესწავლა, არამედ თავის ტვინის ნებისმიერ უბანში სისხლის მიწოდების სიჩქარისა და მოცულობის განსაზღვრაც. ასევე შესაძლებელია თავის ტვინში მიმდინარე პათოლოგიური პროცესების დაავადების საწყის ეტაპზე გამოევლინა.

— **„ინსტრუმენტი უნიკალურია თანამედროვე მედიცინაში,** — ამბობს ბატონი ფრიდონი. — **იგი ადამიანის ორგანიზმის ნებისმიერი ორგანოსა და სისტემის მყისიერი გამოკვლევის და სრულფასოვანი გამოსახულების მიღების საშუალებას გვაძლევს უფრო ზუსტი კომპიუტერული კვლევისა და მინიმალური დასხივების პირობებში. ამ აპარატით ამაყობენ ევროპისა და ამერიკის წამყვანი კლინიკები, ხოლო პოსტსაბჭოთა სივრცეში მას ანალოგი არ მოეპოვება.“**

სხვათა შორის, სწორედ თოდუას სახელს უკავშირდება პირველი კომპიუტერული ტომოგრაფის შემოტანა, ასევე პირველი სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფის, ერთფოტონიანი ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფის დამონტაჟება, რასაც დაუკავშირდა რადიონუკლიდური დიაგნოსტიკის ხელახალი დაბადება საქართველოში...

შრომის, სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის მინისტრმა **ანდრია ურუშაძემ** გულწრფელად მიულოცა კოლეგას წარმატება და აღნიშნა: **„კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ერთ-ერთია იმ დაწესებულებათაგან, რომელიც პრაქტიკულად ხელახლა აშენდა. თანამედროვე აპარატურა, პროფესიონალი მედპერსონალი გვთავაზობენ უნიკალურ მომსახურებას. პრაქტიკულად ნებისმიერი სახის გამოკვლევა შესაძლებელია საქართველოში. რაც მთავარია, ის ხელმისაწვდომი იქნება მოსახლეობისთვის, მათ შორის სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანებისთვის. ვფიქრობ, ეს არის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი“.**

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა რუსუდან კერვალიშვილმა გუშინდელ დღეს სასიამოვნო უწოდა: **„დღეს ფრიდონ თოდუას კლინიკაში საფუძველი ჩაეყარა სამომავლოდ სასიკეთო საქმეს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გვეყოლება გაცილებით მეტი მსოფლიოში უმაღლეს დონეზე გამოკვლეული ჯანმრთელი პაციენტი, რადგან ეს არის პროფილაქტიკის საშუალება, ხოლო პრევენცია ჯანმრთელობის საწინდარია. მივესალმები ყველა წამოწყებას, რომელსაც ბატონი ფრიდონი უყრის საფუძველს“.**

რადიოლოგია ძვირადღირებული დარგია, რომელიც სერიოზულ ინვესტიციებსა და განახლებას მოითხოვს. ბოლო თაობის უტექნოლოგიოდ მარტო პროფესიული სრულყოფა კი არა, არსებობაც წარმოუდგენელია.

**ისიც უნდა ითქვას, რომ რადიოლოგიური აღჭურვილობა არა მარტო მედიცინის, არამედ სახელმწიფოს სახეცაა...**

**თეა მოსია**

**ჯემალ კასრაძის ფოტო**

ინფორმაცია

### გიორგი ტუღუში დევნილებთან შეთანხმების მიღწევამდე გამოსახლების პროცესის შეჩერებას მოითხოვს

**საქართველოს** სახალხო დამცველი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრ კობა სუბელიანს დევნილთა ინტერესების დაცვისკენ მოუწოდებს.

როგორც გიორგი ტუღუშის განცხადებაშია ნათქვამი, სასტუმრო „აფხაზეთსა“ და „კურორტოლოგიის ინსტიტუტში„ მცხოვრები დევნილების ინტერესების დაცვისთვის სამინისტრომ შესაბამისი ღონისძიებები უნდა გაატაროს, რათა მიღწეულ იქნას დევნილებთან შეთანხმება, როგორც ალტერნატიული ფართების ისე საკომპენსაციო თანხების შეთავაზებისას.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იგეგმება თბილისში მდებარე რამდენიმე კოლექტიური ცენტრიდან დევნილთა განსახლება. კერძოდ: სასტუმრო „აფხაზეთი“, და „კურორტოლოგიის ინსტიტუტი“. აღნიშნულ ობიექტებს აქვს კომპაქტური განსახლების ობიექტების სტატუსი და იქ მცხოვრები თითოეული დევნილი ოფიციალურად არის იქ დარეგისტრირებული. სახალხო დამცველის ინფორმაციით, ორივე შენობას ჰყავს ინვესტორი.

სასტუმრო „აფხაზეთში“ მცხოვრებ დევნილებს შესთავაზეს ან რუსთავში მშენებარე კორპუსში განსახლება, რომლის დასრულებამდეც დევნილებს სთავაზობენ ბინის ქირის გადახდას, ან ოჯახს 10 000 დოლარის ეკვივალენტ თანხას; რაც შეეხება „კურორტოლოგიის ინსტიტუტს“, დევნილებს სთავაზობენ ქ.თბილისში, ვაზისუბანში მდებარე ყოფილი 365 ბაგა-ბაღის შენობაში განსახლებას. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ამ ეტაპზე დევნილთა ნაწილი არ არის თანახმა ამ შეთავაზებაზე.

ოფიციალური ინფორმაციით სასტუმრო „აფხაზეთიდან“ დევნილთა გამოყვანა 15 აგვისტოს, ხოლო „კურორტოლოგიის ინსტიტუტიდან“, 18 აგვისტოს იგეგმება.

### პარტია „საქართველოს გზა“ ერთობ პრინციპულია...

„ეს ის დევნილებია, რომლებსაც ყოველ არჩევნებზე პირდებოდნენ რომ პირად საკუთრებაში გადასცემდნენ საცხოვრებელ ადგილს. დღეს არ არის საარჩევნო პერიოდი და „ნაციონალურ მოძრაობას“ მათი ხმები ნაკლებად სჭირდება... ხელისუფლება მსგავსი ტიპის გამოსახლებებს სწორედ ზაფხულში ახორციელებს, როცა მოსახლეობა ქალაქიდან გასულია და პოლიტიკური აქტიურობაც ნაკლებია, — ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

„საქართველოს გზა“ მოუწოდებს ხელისუფლებას, შეწყვიტოს დევნილების გამოსახლება, რადგან „ეს არის საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევა“.

— კანონმდებლობაში აღნიშნულია, რომ საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე იურისდიქციის აღდგენამდე, კომპაქტური განსახლების ობიექტიდან დევნილთა გამოსახლება კატეგორიულად იკრძალება, — აღნიშნულია განცხადებაში.

პარტია საერთაშორისო ორგანიზაციებსაც მიმართავს და თხოვს, ყურადღებით დააკვირდნენ მიმდინარე პროცესებს, „ვინაიდან ირღვევა დევნილთა უფლებები და არსებული კანონმდებლობა“.

ჯი-ეიჩ-ენი

მერე ორი ტროქე კვლავ ერთმანეთს დაედევნა და ამგვარად პირველი ტაეპი დაზოლოვდა. ეს ყოველივე კიდევ ორჯერ განმეორდა, რამდენადმე უფრო სწრაფი ტემპით და ამის შემდეგ კანტემირმა წაიჩურჩულა:

— ახლა ბოლო ტაეპი მოდის, რომელსაც „ადონისური ლექსი“ ჰქვია.

მაგრამ აქ გიორგინამ შეჰყვირა:

— ჩქარა კიდევ ერთი დაქტილი! ის ყველას მირჩევნია!

და კანტემირმა ერთხელ ნელა და ღრმად შეაგდო თოხარიკულით თავისი ქურანი შავ ხევში, მერე ორჯერ შეაჭენ-შეაჯირითა და, ბოლოს, ხისტად და ხანგრძლივ წაუმახვილა, რასაც ერთი ხანმოკლე წამახვილებაც მიაყოლა. აგრერიგად გაასრულა გიორგინამ საქნელი, და იმავდროულად დამთავრდა საპფოური სტროფიც.

— ახლა გესმის, რას გვეუბნება თავის ლექსებში საპფო?

— მესმის, როგორ არ მესმის, გვარიგებს და გვასწავლის, როგორ უნდა ვსიყვარულობდეთ. ამას მე ლესბოსურ სიყვარულის გაკვეთილს დავარქმევდი. მშვენიერი გაკვეთილია. ოღონდ, რა ტერფებითაც დამტერფე, სუყველა შენი შეთხზულია. ნეტავი ის როგორ ახერხებდა, ქალი, ამ დატერფვას?

პასუხად ხმაგამხატვრულებულმა კანტემირმა ლექსი გამოაგო:

*ტკბილ ვაშლსა ჰგავხარ,*
*კენწეროზე წითლად შერჩენილს,*
*ძალზედ მაღალი კენწეროა, და ეგ ნაყოფი*
*თვალს ბევრსა სტაცებს, მაგრამ ხელი არ მიუწვდებათ,*
*ვერას ხდებიან...*

— ბარემ იმასაც გეტყვი, რომ კუნძულზე საპფოს სულიერი სკოლის მაგვარი რამ ჰქონდა, — დასძინა კანტემირმა. — რაც ახლომახლო კუნძულები იყო, იქიდან გოგოები იმასთან ჩადიოდნენ გასანათლებლად, მერე ისევ შინ ბრუნდებოდნენ და თხოვდებოდნენ. სწორედ იმ გოგოებისთვის იყო განკუთვნილი ლესბოსის სიყვარულის გაკვეთილები და საპფოს ეროტიკული სტროფები

ამის თქმისთანავე კანტემირმა, აგრე და აგრე უნდა ამხედრდე ჩემზეო, უჩვენა გიორგინას, და იმანაც, საპფოური სტროფის ქორეოგრაფიას აყოლილმა ცხენივით გააჭენა ლაჯებქვეშ მოქცეული კანტემირი. და აგრე ამხედრებულმა გიორგინამ, ვის სხეულსაც ბევრად უკეთესად ახსოვდა ლესბოსური გაკვეთილი, ვიდრე თვითონ მხედარს, მთელი საპფოური სტროფი უნაკლოდ შეასრულა კანტემირისეულ მცირეოდენ შესწორებათა გათვალისწინებით. ის სხეული, კანტემირზე აღზევებული გიორგინას სხეული, ახლა დედამიწის სუყველა ენაზე მეტყველებდა და ტკბილად ღუღუნებდა უძველეს სამიჯნურო უსტარს:

poikilo-thron' athanat' Aphrodita
pai dios dolopl oka, lissomai se
me m asaisi med oniasisi damna
potnia thumon...*

* ποικιλόθον' αθανάτ' Αφρόδιτα
παῖ Δίος δολόπλοκε λίσσομαί σε
μή μ' ἄσαισι μηδ' ονίαισι δάμνα
πότνια θῦμον

*ტახტშემკობილო აფროდიტე,*
*სიკვდილძლეულო,*
*ზევსის ასულო, გულწამტანო*
*გრძნებისმოქმედო,*
*სულს ნუ მითრგუნავ, გადმომხედე*
*და შემიწყალე,*
*ქალღვთაებაო!..*

* * *

ცოტა დაქანცულნი, გულში თვალებჩაზრემულნი, ისინი კვლავ ჭერს ასცქეროდნენ, და გიორგინამ ისევ გარდაუვალი კითხვა მოივარგა:

— კანტემირ, რა არის სიყვარული?

— სიყვარული ის არის, რასაც ეს-ეს არის ვშვრებოდით. რა არის და, რაც ხშირად იმაზე ადრე მთავრდება, ვიდრე ორნი ერთმანეთს გადაიყვარებდნენ. გადაყვარებულთა სიყვარული კი ხშირად აღარ მთავრდება...

და კანტემირმა გადაიხარხარა. მაგრამ გიორგინა არ ეშვებოდა:

— მე სერიოზული, საგულისო პასუხი მინდა. და იმას გეტყვი, რასაც თავად ვფიქრობ. სხვაობა ორ ქალს შორის იქნებ ბევრად მეტიც არის, ვიდრე ქალსა და მამაკაცს შორისაა. დიახაც ამ სხვაობაზეა დამოკიდებული, გაჩნდება თუ არა სიყვარული სუყოველ კონკრეტულ შემთხვევაში...

მაგრამ კანტემირს ამ სიტყვების გაგონება უკვე არ შეეძლო, რადგან ჩათვლიმა, და თვითონ გიორგინამაც მალე ძილს მისცა თავი.

ორსავე ღამე აღნეზოდა თავს, მწვანე კვამლი წყვდიადის წიაღ ისვეტებოდა კანტემირის სახლის ასწვრივ და, მდინარის კალაპოტს აღევნებული, ქალაქის მეორე ბოლოსკენ მიცურავდა, სადაც გიორგინას მშობლები და უმცროსი დაია ანჯელა ცხოვრობდნენ. როს ორი კვამლი ერთმანეთს შეერია, გიორგინა თავისივე შეყვირებამ გამოაღვიძა.

— რა იყო, რას შვრები? გეძინა და ჩემში იყავი?! განა ასეთი რამ შესაძლებელია?

— ძალიანაც შესაძლებელია, — მიუგო კანტემირმა, — მამაკაცს რომ სძინავს, მორი უმეტესად ზეზე უდგას. ამასთანავე, თუ ის ლამაზ ქალში ნებივრობს, როგორც რომ დღეს მე დამემართა, მაშინ იმ ლამაზი ქალის სუნთქვა ორივეს უცხო რამ სიზმრებს ასიზმრებს. ის კი არა, სიზმარში ისინი ხან ეაკულაციასაც განიცდიან.

— კიდევ ჩაალათინურე! მითარგმნე, თუ კაცი ხარ!

— მერე იყოს, ახლა დრო თითქმის აღარ დაგვრჩა.

— ნუთუ დავაგვიანეთ? — შეჰყვირა გიორგინამ, მაგრამ კანტემირმა დაამშვიდა:

— უკვე თეატრში დაბრუნების დროა. იქ სწორედ მეხუთე მოქმედება იწყება.

ორივემ ჩქარა-ჩქარა ჩაიცვა, და გაცვივდნენ სახლიდან. გარეთ მდინარე პოსავით ღრმა მდუმარება სუფევდა. თითქოს წყალ-წყალ მიაბიჯებენო, ისე გაუყვნენ ისინი იმ მდუმარებას და მივიდნენ თეატრში. მეხუთე მოქმედება დასასრულს უახლოვდებოდა.

დარბაზში ტაში რომ მიწყდა და მსახიობები საბოლოოდ გამოვიდნენ თავის დასაკვრელად, გიორგინა და კანტემირი გასასვლელისკენ გაჩქარდნენ. მაგრამ დომაზეტას ვერსად თვალი ვერ მოატანეს, თუმცა ყურადღებით ათვალიერებდნენ იქაურობას. ბოლოს და ბოლოს მაყურებლები წავიდ-წამოვიდნენ, და ისინი მარტონი დარჩნენ უზარმაზარი ჭაღის ქვეშ, რომელმაც ნელ-ნელა იწყო ქრობა. ფოიეს სიღრმეში პატარა უზურგო დივანზე ვიღაც დედაბერი იჯდა ექვსიოდე წლის გოგონასთან ერთად, გიორგინა და კანტემირი რომ დაინახა, დედაბერი წამოდგა და პირდაპირ იმათკენ გაემართა, ბავშვი ხელჩაჭიდებული გაიყოლა.

— შინ არ წავიდეთ, მადმუაზელ გიორგინა? — ჰკითხა დედაბერმა.

— თქვენ ვინ ხართ? სად არის ჩემი შინამოსამსახურე დომაზეტა?

— ნუთუ ვერ მიცანით? — გაიკვირვა დედაბერმა. — დომაზეტა მე ვარ. უბრალოდ დრომ თავისი ქნა... ეს ბატონი ვინა ბრძანდება?

— ჩემი ქმარია, კანტემირი. დედაჩემსა და მამაჩემს უნდა წარვუდგინო, ასე რომ ესეც ჩვენთან ერთად წამოვა.

— კი წამოვა, მაგრამ წარდგენით როგორ წარუდგენ, ქალბატონი დედათქვენი უკვე ექვსი წლის მკვდარია, მამათქვენი კი იმაზე ადრე მიიცვალა. ცხონებული დედათქვენი კიდევ მოესწრო პირველი შვილიშვილის ნახვას, ბატონი მამათქვენი კი — ვერა.

— ვინ შვილიშვილზე მელაპარაკებით?

— აი, ამ პატარა გოგონაზე, მალოვრაზიცეზე. თქვენი უმცროსი დის ანჯელას შვილია.

უცებ მალოვრაზიცამ ფეხი გაჰკრა გიორგინას წვივზე და უთხრა:

— წავიდეთ, მატყუარავ, რაღას უდგახარ? დაგერეკა მაინც, ასე აღარ ვილევებდით...





# მილორად პავიჩი

# შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა



## სერბული რომანი

### გრძნეული წყაროსთვალი

*მოქმედება ხდება პარიზში, ბაჩკაში და დიმიტრი პეროვიჩის ბელგრადულ სახლში, ჩერნოგორიის ქუჩა, 8*

**სასოწარკვეთა, ანუ ცუდაკაცობა**
**მეორეა შვიდი მომაკვდინებელი ცოდვიდან.**
**დანტე ცუდმავალთ ჯოჯოხეთის მეხუთე სკნელში, სტიქსის მდოვრე წყალში ათავსებს, ხოლო სასოწარკვეთილთ — „სალხინებელში“. მხატვარი ჰიერონიმუს ბოსხი მცონარობაცემულთ კამეჩებისდაგვარად გამოხატავს. შაგალის ასტროლოგიური შვიდთითა ხელის ნებზე ცუდაკაცობის სიმბოლოა ორი სალოკი თითიდან პირველი, რომელიც შეესაბამება აგრეთვე შვიდი პლანეტა-თცომილიდან ერთ-ერთს, სახელდობრ კი მერკურს, ანუ ოტარიდს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ რომ, შაგალი მარჯვნიდან მარცხნივ ითვლის.**

## I

## პავაროტი

აქ იმ დროის ამბავს გიყვებით, როცა ნატიფ ხელოვნებათა პარიზის სკოლაში ჩემი ბოლოსწინა სასწავლო წელი უკვე იწურებოდა. ცხოვრებით ფი-დიუკალვერზე ვცხოვრობდი, მესამე ოლქში, მარეში. ყოველ დილით სენასკენ დავეშვებოდი ხოლმე, ქუჩის კუთხეში, ბაზრის ახლოს, ძაღლებისთვის გამართულ უცხო რამ საბანელს გვერდით რომ ჩავუვლიდი, მერე პიკასოს მუზეუმის გასწვრივ მივდიოდი და, ბოლოს, ვიეი-დიუდამპლზე აღმოვჩნდებოდი — აგრე ერქვა ჩემი ქუჩის გაგრძელებას. ერთხელაც, საღამო ხანს, სეირნობიდან ვბრუნდებოდი და, ცოტას გაწყდა, ერთ ორთოდენა წვეროსან, შავად გამოწყობილ კაცს არ დავეჯახე. თურმე კაცი კი არა, ფანერიდან გამოჭრილი სილუეტი იყო, რომელზედაც ფერადი ფოტოსურათი მიეწებებინათ და მყიდველთა მისაზიდად მუსიკალური მაღაზიის გვერდით დაედგათ. ფოტოსურათიდან ნატურალური სიდიდის პავაროტი შემომცქეროდა მულტიპლიკაციური ფილმის გმირის ღიმილიანი სახით.

და საქმეგამოლეულს პირველად სწორედ მაშინ გამიჩნდა კითხვა, თუ რატომ მომწონდა პავაროტი ყველაზე მეტად დანარჩენ საოპერო მომღერალთა შორის. ეს აზრი კი იმ ნაპერწკლად მექცა, საფეთქებლის ფალია რომ აწვა. ჩემში ერთბაშად ჩემი ახალგაზრდობის დროინდელმა მუსიკოსმა გაიღვიძა. და სადღაც შორს, ბალკანეთში მშობლიურად დაგულებული სახლის ჭერქვეშ, ჩემი თითებიდან ცხრა მთას იქით წამერთ ახმიანდა ვიოლინო, ჯერ კიდევ 1862 წელს სანკტ-პიოლტენში მაესტრო ევსტახი შტოსის მიერ ნახელკეთილარი, რომლის ხმიანობა-ზგეროვნობაშიც განვლო კონსერვატორიაში ჩემი სწავლის რამდენიმე წელიწადმა.

თითებში მუდამ ნაცნობ ქავილსა ვგრძნობდი, როცაკი ვყიდულობდი, ვიპარავდი თუ ვითხოვებდი ხოლმე პავაროტის მიერ შესრულებული არიებისა და იმ ოპერების ჩანაწერებს, რომელ ოპერებშიც ის მონაწილეობდა, არ გამომეპარებოდა აგრეთვე პავაროტის სოლო გამოსვლების არცრა დისკი და არცრა მასზე დაწერილი წიგნი. მართლაც ზღვა მასალა დავაგროვე. უკვე ხელთ მქონდა „რიგოლეტო“, ტონიოს პარტია ზემო დოთი, რადამესი „აიდაში“, განთქმული სატელევიზიო კონცერტები ორ სხვა ტენორთან ერთად, დუეტები როკ-შემსრულებლებთან ჯუფთად, ორივე იმისი ავტობიოგრაფია, ყველას რა ჩამოთვლის. ერთხელაც დავჯექი და დავიწყე დაგროვებული მუსიკალური ჩანაწერების მოსმენა. გადავწყვიტე ნაბიჯ-ნაბიჯ გარკვევა, თუ რაში მდგომარეობდა პავაროტის მომნუსხველი ძალა, რომლის ზემოქმედებაც განვიცადე არა მარტო მე ერთმა, არამედ განიცადა XX საუკუნის, ჩემი საუკუნის, მთელმა კაცობრიობამ. ვისმენდი დღედაღამ, თვედათვე. თანდათან, საკუთარი ნების საპირისპიროდ, წინააღმდეგობის ძლევა-ძლევით, ჩემს მუსიკალურ წარსულს ვუბრუნდებოდი და მხატვარი კაცი ისევ მუსიკოსი ვხდებოდი, რაც მრავალი წელიწადი უკვე აღარ ვყოფილვარ. და არცთუ მაინცდამაინც ისე მნიშვნელოვანია, იყო თუ არა დამახასიათებელი და საგულისხმო პავაროტის ვოკალური შემოქმედებისა და კარიერისთვის ის მუსიკალური ნაწარმოებები, რომელთაც ჩემს დასკვნებში ვეყრდნობოდი. მნიშვნელობა არა აქვს, იყო თუ არა ეს „the Best of Pavarotti“. მთავარია, რომ იმ ნაწარმოებებში (როგორადაც უთუმცაოდ სხვებშიცძ ყოფილიყო პასუხი ჩემს თავდაპირველ კითხვაზე: რატომ მაინცდამაინც მომწონდა პავაროტი? რატომ არა ვინმე სხვა?

ჩემი კვლევა იყო ყოფილი მუსიკოსის, ახლა კი მხატვრის ერთგვარი ნიშნისმგებლური ცდა, რომ ფარდა ამეხადა იმ ხელოვნების საიდუმლოთათვის, რომელი ხელოვნებაც ოდესღაც ჩვენი ზიარი მოღვაწეობის საერთო ასპარეზი იყო. ანდა თუნდაც გონებით მაინც წარმომედგინა, როგორ დაეუფლა ის სუყოველ ამ საიდუმლოებას ერთობლივ და მერე, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, როგორ აჯადოებდა მსმენელთ თავისი ბელკანტოთი.

რადგანაც ჩემი საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება საკრავიერ მუსიკასთან იყო დაკავშირებული, თავს უფლებამოსილად ვთვლიდი, რომ სწორედ ამ თვალთახედვით განმეხილა პავაროტის ვოკალური ოსტატობა. ამასთანავე დარწმუნებული ვიყავი, რომ პავაროტის სრულყოფილად შესწავლა მუსიკის არა ერთი და ორი სულ სხვადასხვა დარგი და იყენებდა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ შემსრულებელთა გამოცდილებას, ათასრიგ მუღამსა და ნაირ-ნაირ ფანდებს, რაც, აქვე უნდა ითქვას, არცთუ ძნელი შესამჩნევია, როცა უსმენ. ერთხელ ისიც კი ვიფიქრე, სულაც იმ დროს, კერძო გაკვეთილებზე რომ დადიოდა მანტუაში ან და კიდევ უფრო ადრე, მშობლიურ მოდენაში, ვინმემ ხმელთაშუაზღვისპირეთის იდუმალ მუსიკალურ ტრადიციას რასმე ხომ არ აზიარა-მეთქი? ანდა ეგების თავადვე ახარა და ააჯეჯილა თავის თავში იმ მხარის აღორძინებული მუსიკალური მადლი, სადაც დაიბადა და გაიზარდა-მეთქი? მაგრამ სანამ ის მღერის და თავისი შავი წვერის წიაღ გამოგვცქერის, თანამიმდევრულად ვთქვათ ჩვენი სათქმელი.

## ვერდი. რიგოლეტო

პავაროტის ერთ-ერთი თვითება-თავისებურება, უმალ რომ იქცევს ყურადღებას, არაჩვეულებრივად მსუბუქი და თავანკარა ბელკანტოა, რაც ისე იწევს უმაღლეს ტონებამდე, ხმის მიმართ არანაირი ძალდატანება არ იგრძნობა. როგორ აღწევს ის ამას? მე, რასაკვირველია, მყისვე წამომაგონდა, თუ რანაირად ხდება ეს საკრავიერი მუსიკის სამყაროში, ანუ ჩემს ვიწრო დარგში. თუმცა, ამ ამბავში მე თავადაც თითქმის შემთხვევით გავთვითცნობიერდი, რადგან ის კაცი, ვინც ვიოლინოზე დაკვრას მასწავლიდა, ყველაფერი იყო, პედაგოგის გარდა. ოღონდ ისიც უნდა ვთქვა, რომ ამ დაუმდგარ, დაულვინებელ ვირტუოზ-შემსრულებელს თავისი ხელობის სუყოველი მუღამი, სხვა კონსერვატორიელ მასწავლებელთათვის მიუწვდომელი, სისხლხორცეულად შეეცნო და შეეთვისებინა. მაგალითად, როცა მე უკვე ზეპირად ვიცოდი მაქს ბრუხის კონცერტი ვიოლინოსთვის ორკესტრთან ერთად, მან ჩემს პიუპიტრზე ტურგენევის რომელიღაც რომანი დამიდო და მომთხოვა, მიდი, ზეპირად დაუკარი და თან გუნებაში ეგ რომანი იკითხეო. თითების ტექნიკა ცნობიერებას სცილდებოდა, და წარმოიქმნებოდა სიმსუბუქე, რაც არცრა რაციონალურზე არ იყო დამოკიდებული. რაციონალური ენერგია-ამანი სხვა მიმართულებით მდინარებდა, წიგნი კი მეხსარიდის როლს ასრულებდა. ჩემი ვარაუდით პავაროტიც მსგავსი ვარჯიშით აღწევს სიმსუბუქეს. მსგავსით, ოღონდ მაინც რამდენადმე განსხვავებულით, რადგან ის ხმას იყენებს და არა ხემს.

ერთი გაფიქრება ისიც კი გავიფიქრე, პავაროტის ნიჭი იქნებ სულაც რომელიღაც მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების სუბლიმაციაა-მეთქი. ცნობილი ამბავია, რომ ათონის მონასტერში და, შესაძლოა, იტალიურ-კრეტულ მიწაწყალზეც, იყენებდნენ არა იმ გამას, რომელსაც რვა ტონი შეადგენდა, არამედ გაცილებით მეტი რაოდენობის ბგერითი ნიუანსისგან შემდგარს. წმინდა მთის ლიტურგიას ბევრად უფრო რთული ხმოვანება ჰქონდა, რომლის ჩაწერაც ვერ ხერხდება ოქტავაზე დაფუძნებული თანამედროვე სანოტო სისტემით. ათონის სანოტო კიბეზე ხომ მთელი ბერძნული ანბანი იყო განლაგებული, ანუ დაახლოებით ოცი ასოებრივი ნიშანი.

ეს კი პრაქტიკულად იმას ნიშნავდა, რომ შეიძლებოდა ყოველი დაწერილი სიტყვის წამღერება, ესე იგი წაკითხვა სანოტო სისტემის მეშვეობით, ანუ, სხვაგვარად თუ ვიტყვით, სიტყვას თავისი ბგერითი ფორმულა ჰქონდა, სულაც არა ფონეტიკასთან დაკავშირებული. მაგალითად, თუ ანბანის ასონიშნები თანამიმდევრულად განაწილებულია იმ გამის, ანუ იმ ბგერათრიგის ყველაზე დაბალი ბგერიდან ყველაზე მაღალ ბგერამდე, რომელ გამა-ბგერათრიგსაც რვა ტონი და ხუთი ნახევარი ტონი შეადგენს, მაშინ სიტყვა „ამინ“-ს შემდეგი ბგერითი სახე ექნება:

დო-ლა-სოლ-სი

ამდაგვარი წესითა და ხერხით შეიძლებოდა წაგვემღერა რაღაც-რაღაც ცნობები და სახელები, დადუმლული პირობით ნიშნად ანდა პაროლად, რაც გასაგები იქნებოდა იმისთვის, ვისაც ამ პირობითი ნიშნისა თუ პაროლის გაშიფვრა ძალუძს. მომღერალს სიმღერის მეშვეობით რომელიმე ქალის სახელის წარმოთქმა შეეძლო. ვფიქრობ, პავაროტის დასტურ მუსიკალურმა კოდმა შეაძლებინა, რომ როგორღაც შეხებოდა დაშიფვრისა თუ დადუმვლის ამ პრაქტიკას, რის წყალობითაც მოინაგრა, როგორც სიმღერის დიდოსტატმა, თავისი გასაოცარი სიმსუბუქე, მან ხომ ერთდროულად ორ მუსიკალურ დონეზე აზროვნება ისწავლა.

## სამი ტენორის განთქმული სატელევიზიო კონცერტები რომში (1990) და ლოს-ანჯელესში (1994)

ამ კონცერტებზე პავაროტის გამოსვლამ კარერასთან და დომინგოსთან ერთად აშკარა გახადა განსხვავება პავაროტსა და ორ სხვა მომღერალს შორის. მაინც რაში გამოვლინდა ეს განსხვავება? თავიდანვე ცხადად გამოჩნდა, რომ ორივე თანამომღერალი ტემპს აძლიერებდა, საკუთარ ხმას ძალას ატანდა და ბგერადობას ისე იმაღლებდა, რასაც პავაროტიზე ვერასგზით ვერ იტყოდით. რა არის ყოველივე ამის მიზეზი? ესპანური სკოლისთვის უფრო მეტად მკვეთრი ხმებია დამახასიათებელი, ვიდრე იტალიურისთვის? არ ვიცი. მაგრამ, ეჭვებსა და უხერხულობას თუ ვძლიე, შემიძლია, ჩემი მუსიკალური პრაქტიკიდან იმ გამოცდილებების გაზიარება, რომელიც მას შემდეგ შევიძინე, რაც ვიოლინოს თავი მივანებე. მხედველობაში მაქვს ეგრეთ წოდებული „ტკბილი ნერწყვი“.

ერთ დროს კონსერვატორიაში ჩემთან ერთად სწავლობდა ვინმე ბოშა პოპაზი, ლამაზი ბუნჩულა ბიჭი, რომელსაც თმა წარბიდანვე ჰქონდა შუაზე გაყოფილი და თვალებს როგორც კი აახელდა, უწინარესად თავის მარცხენა ლოყას ხედავდა, ნიადაგ ზედ მიბჯენილი ვიოლინოსგან დაგონჯებულს. გოგოებს ეგრევე უყვარდებოდათ ის და იმისი მუსიკა, ჩვენ კი იმისი მუსიკაც გვიყვარდა და იმ გოგოებსაც ვეპრანჭებოდით, რომელთაც ის ჩავარდნოდათ გულში. როგორც კი გაზაფხულდებოდა და კარგ ამინდებს დაიჭერდა, ჩვენი ბოშა ბიჭი უმალ უჩინარდებოდა: ბოშების ქორწილებში უკრავდა, თვით ტრანსილვანიამდე ჩადიოდა და მერე უკვე გამოცდების ჩასაბარებლად ბრუნდებოდა ორთვიანი ლოთობის შემდეგ. მაგრამ ბევრი სმისგან აგრე გასაცოდავებულიც კი ყოველ ჩვენგანს ჯიბეში ჩაისვამდა. ვოკალურზე საყვარელი ჰყავდა, და მახსოვს, არ მოერიდა, პირდაპირ უთხრა:

— არაფერი არ გამოგივა, ჩიტუნი, მომღერლობისთვის ნერწყვი არ გივარგა. ნამდვილ მომღერლებს განსაკუთრებული რამ ნერწყვი აქვთ. როცა მღერიან, ისინი იმ ნერწყვის სიტკბოსა გრძნობენ, თუმცა იმათი პარტნიორები კოცნისას ამ სიტკბოს ვერ აღიქვამენ. აგრეა, ჩემო სიხარულო, ტკბილნერწყვიანი მომღერალი პირს აღებს თუ არა, მაშინვე გესმის, ვინც არის. მომღერლის ჩასუნთქვა თუ ამოსუნთქვა მაგ გრძნეულ ნერწყვზე ჰკიდია. მაგას კი მარტო ღმერთი იძლევა ანდა უსუპის, იგივ ზენტეხის ბალახის ჩაი თუ გაგიჩენს, თუმცა გადაღებაც შეიძლება, უკეთუ ბევრს იკოცნავებ ისეთ ვინმესთან, ვისაც ეგ ნერწყვი აქვს. არჩევანი შენზეა.

— მერე შენ იცი ვინმე მაგნაირნერწყვიანი? — ჰკითხა საყვარელმა ბოშას.

— ვიცი, — მიუგო ბოშამ, — მაგრამ ის ქალია. არა მგონია,რომ შენთან ალერსი და ყელის გადაჭდობა მოინდომოს. იმას კაცები უყვარს, შენ კი რა ისეთი ეგვიპტური საწებელი ხარ, ყურებიდან რომ ასიამოვნებინო თავი, გემო ჩაატანებინო...

ვინც ამ სტრიქონთ კითხულობს, არამც და არამც არ იფიქროს, რომ პავაროტის აუცილებლად უნდა აღმოეჩინა თუ ამოეცნო „ტკბილი ნერწყვის“ რაღაც საიდუმლო, ურომლისოდაც ნაღდი სიმღერა ვერ იქნება. ვინ იცის, ეს საიდუმლო, გინდა მუღამი ვთქვათ, იქნებ სულაც ღვთისგან ებოძა პავაროტის ანდა მემკვიდრეობით ერგო, ან კიდევ, ჩვენდა და თავისდა საბედნიეროდ, ისე გადაედო თუ შეეყარა, ვერც კი შეამჩნია, რა როგორ მოხდა. მაგრამ უდავოა, რომ პავაროტისა და სხვა მომღერალთა შორის განსხვავება, ბევრ რამესთან ერთად, ამ საიდუმლოსა თუ მუღამშიც იმალება. ნერწყვის შემადგენლობის საიდუმლო-მუღამში. ეს მეტადრე ცხადად შესამჩნევია, როდესაც ის დუეტებსა და ტრიოებში მღერის. მოკლედ, პავაროტის პირში კარგა ბლომად განაყოფიერებული ნერწყვია, და ეს უმალ ისმის, როგორც კი ის პირს აღებს.

## ტონიო და მაღალი დო

როცა კი პავაროტის „ძნელ“ არიებს ვუსმენდი, ბევრჯერ მიფიქრია, ამ კაცს რაღაც პარალელური სანოტო, ანუ, უფრო სწორად, სარეზერვო ემოტივური სისტემისდამაგვარი რამ აქვს-მეთქი.



სასოწარკვეთა

სხვანი რა აზრიანი არიან, არ ვიცი, მაგრამ ჩემი ყურთასმენით პავაროტის ხმა თითქოსდა „გარეშე ხმაურთ“ შეიცავს. ესეგვარი ტერმინით საკრავიერ მუსიკაში არასასურველ და თანამდევ აკუსტიკურ მოვლენებს აღნიშნავენ, რომელ მოვლენებსაც ის მასალა წარმოქმნის, რა მასალისგანაც საკრავია ნახელკეთილარი. მუსიკას რომ ვუსმენთ, ამ მოვლენებს, ჩვეულებრივ, ყურადღებას არ ვაქცევთ. ასე, მაგალითად, არ გვესმის (უფრო სწორად, არ ვუსმენთძ, თუ რარიგ წუის მუსიკალური საკრავის სიმებზე სრიალისას ხემზე დაჭიმული ცხენის ძუა, ყურადღებას არ ვაქცევთ არც ლითონის სიმისა და ნაწლავის ან აბრეშუმის სიმის ხმოვანებათა შორის სხვაობას. ერთხელ ვიფიქრე, რომ პავაროტი ვოკალურ ხმაურთა მსგავს რასმე ქმნის, და, როცა მღერის, კიდევ რაღაც გვესმის ანდა, უფრო ზუსტად, ვიღაცას ხმაც გვეყურება. თითქოს სიმღერის დროს ამ ადამიანში გარდასული წლების მავანი ტენორი იჩენს თავს, ოღონდ არა მეოცე საუკუნის დროინდელი, ვთქვათ, კარუზო, არამედ მეცხრამეტე საუკუნის ჟამინდელი ტენორი. ალბათ, კიდევ უფრო შესაძლებელია, რომ თვითონ იგი რომელიმე მომღერალი ქალის, მაგალითად, ანჟელიკა კატალანის ბელკანტოს რეინკარნაცია ხდება.

მაღალი რეგისტრები იმგვარად იგება, რომ ძალაუნებურად უნდა შეადარო ბგერითი შენობის აღმართვას. ცნობილია, ბევრს, ალბათ, გაგონილიც აქვს, დონელ რუს მომღერალთა ამბავი. ისინი ბუნებით ხმადაყენებულნი იბადებიან, უკვე თითქოს სკოლაგავლილნი, არადა ისეთი ხმების შესაძენად სხვა მიწაწყლის მკვიდრთ მრავალწლიანი სწავლა უწევთ. ეხება თუ არა ეს ამბავი პავაროტისაც? აქ კვლავ მოვიშველიებდი საკუთარ მუსიკალურ გამოცდილებას, საკრავიერ მუსიკაში შეძენილს. საკრავიერ მუსიკაში ზოგჯერ, მაგალითად, სიმებიან საკრავებს თუ მივმართავთ, თავისებური ასიმეტრია გვხვდება. სიმებიანთ აწყობით მარცხნიდან მარჯვნივ აწყობენ, ყველაზე უფრო მსხვილი სიმიდან დაწყებული ვიდრე ყველაზე წვრილ სიმამდე. პავაროტიმ იცის ეს თავისებურება და აკი იყენებს კიდეც. ღიმილისა არ იყოს, პავაროტის ხმაც ასიმეტრიულია, რაც იმისთვის სრულიად ბუნებრივი ამბავია. ის კი არა, ხან გვეჩვენება, რომ იმის ხმას პირობითად თუ ვიტყვით, მარცხენა და მარჯვენა პროფილი აქვს. შესაძლოა, ეს სულაც იმ ტექნიკას უკავშირდება, რომელსაც ძველ დროში მიმართავდნენ, როცა საჭურისთ ასწავლიდნენ მღერას. მაღალი ნოტის აღებისას ვოკალური ასიმეტრია, ასე თუ ისე, მანევრის ადგილს ტოვებს. საჭირო შემთხვევაში მომღერალი ერთბაშად უარს ამბობს თავისი ბგერითი შენობის გულდასმით ნაგებ ასიმეტრიულობაზე და ხმის მთელ ენერგიაამანს წარმართავს სიმეტრიულობისკენ, ისარივით გატყორცნილს პირდაპირ მაღალი დო-სკენ, სადაც ადგილი არ არის დარჩენილი ბელკანტოს „მარცხენა“ და „მარჯვენა“ პროფილისთვის. ახლა ამაზე უკვე აღარ ითქმის, რომანული ეკლესიააო, გვერდიდან ხილული, ეს კამპანილაა, გოთიკური ტაძრის ვერტიკალი, რომელსაც თქვენს თავზე ცა გაუხვრეტია. ეს მუსიკის რაღაც ეთიკური ხარისხისდამაგვარი რამ არის.

ეს ის რაღაცაა, რაზეც უთქვამთ: „თავის სულში მან თავისი ადგილი ვერ იპოვა, რამეთუ ადგილი იქ ყველაფრისთვის სამყოფი იყო, ოღონდ თვითონ სულისთვის არა“.

* * *

პავაროტიზე ბოლო სიტყვები რომ დავწერე, მუსიკალური საპნის ბუშტი გასკდა, და კვლავ მქისე სინამდვილეში აღმოვჩნდი, მხატვრებს შორის. მართლაც ძაღლის ყეფა არ მესმოდა, ისე ვიყავი დაყმედილი და სულ ყურების პარტყუნით დავაგდე პარიზი სწავლადაუმთავრებელმა და ჯიბეგახვრეტილმა. სხვა გზა არ დამრჩენოდა, ავდექი და წამოვედი შინ, ბაჩკაში, იქნებ პურის ფული მაინც ვიშოვომეთქი, ვიმედოვნებდი.

## II
## ბაჩკა

— მართალია, ქალაქურად, ანუ მარტო მარჯვენა ყურის ძირამდე ვერ ვიცინი, მაგრამ მაინც სული მიმდის ქალაქში წასასვლელად. იქ კარგი ბაზარია და იქ ხატების ხელსაყრელად გაყიდვა შეიძლება, — ვუხსნიდი, ჩემებურად ვეჩიჩინებოდი მავან უცნობ კაცს, რომელსაც ხელში ქაღალდის ფურცელი ეჭირა. რასაც ვამბობდი, სრული სიმართლე იყო: გონჯ სახეზე ერთგვარი ყალბი ღიმილი გადამჭიმოდა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ჩემს გულმიუვალ, უსანდომო სახეს,რის გამოც თომა უჯმაჯური შემარქვეს, ტანიც ისეთი ერთვოდა, უცნაურად ეჩვენებოდა როგორც კაცის, ისე ქალის თვალს, ვინაიდან ამ ჩემი ტანის ამბავი რაღაც მთლად რიგზე ვერ იყო. თუმცა ზოგ-ზოგთათვის რომ გეკითხათ, სწორედაც ჩემი ტანის სიკოხტავე უშლიდათ ხელს რიგიანად ჩემ თვალის შევლებასა და შეთვალიერებაში.

ქართულად გადმოაენა
**გურამ გოგიაშვილმა**

(გაგრძელება მომავალ შაბათს)

## ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

# მემკვიდრეთა უფლება-მოვალეობანი

**რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი**

**მემკვიდრე ის პირია, რომელზედაც გადადის მამკვიდრებლის ქონება. მამკვიდრებლისაგან განსხვავებით, მემკვიდრე შეიძლება იყოს არა მხოლოდ ფიზიკური პირი, არამედ იურიდიული პირი და ხაზინა.**

მემკვიდრეებად შეიძლება ჩაითვალონ ის ფიზიკური პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისთვის. ფიზიკური პირი დაბადებიდან გარდაცვალებამდე შეიძლება იყოს როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრე მისი ქმედუნარიანობის მიუხედავად.

ანდერძით მემკვიდრეობისას მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ ისინიც, რომლებიც ჩაისახნენ მამკვიდრებლის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ. მოცემულ შემთხვევაში, კანონით მემკვიდრეობისგან განსხვავებით, კანონმდებელი აფართოებს იმ პირთა წრეს, რომლებიც შეიძლება მემკვიდრეები იყვნენ ჯერ კიდევ დაბადებამდე, რადგანაც, გარდა შვილებისა, მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ სხვებიც, რომლებიც ჩაისახნენ მამკვიდრებლის სიცოცხლეში, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბადნენ. აქ მნიშვნელობა არა აქვს მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ დაბადებული ბავშვები მისი შვილები არიან თუ არა. საანდერძო განკარგულება ზუსტად უნდა მიუთითებდეს კონკრეტულ პირზე, რომელიც ჩასახული იყო მამკვიდრებლის სიცოცხლეში.

**კითხვა: რა შემთხვევაში ითვლება ბავშვი მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე ჩასახულად?**

**პასუხი: ბავშვი მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე ჩასახულად ითვლება, თუ მისი გარდაცვალების დღიდან ბავშვის დაბადებამდე გავიდა არა უმეტეს ათი თვისა.**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი მემკვიდრედ ყოფნის უფლებას უკავშირებს არა დაბადებას, არამედ ჩასახვას: „მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე“. როგორც ვიცით, სამართლის სუბიექტი დაბადებამდე არ არსებობს, შესაბამისად ასეთ უფლებაუნარიანობას შეზღუდული უფლებაუნარიანობა ეწოდება. შეზღუდული – იმიტომ, რომ იგი მხოლოდ მემკვიდრეთ ყოფნის უფლებას ითვალისწინებს და ეს უფლებაუნარიანობა პირობითია იმიტომ, რომ მისი განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე.

**კითხვა: რა შემთხვევაში შეიძლება იურიდიული პირი იყოს მემკვიდრე?**

**პასუხი: იურიდიული პირი ანდერძით მემკვიდრე შეიძლება იყოს იმ შემთხვევაში, თუ იგი შექმნილი იყო სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის.**

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს პირის ულირს მემკვიდრედ ცნობას. დადგენილია, რომ არც კანონითა და არც ანდერძით მემკვიდრე არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც განზრახ უშლიდა ხელს მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ანდა ჩაიდინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ, თუ ეს გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ (სსკ 1310-ე მუხლი).



ანდერძი უნდა შეადგინოს პირადად მოანდერძემ. ანდერძის შედგენა წარმომადგენლის მეშვეობით არ დაიშვება. კანონი არ უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ მოანდერძემ სხვა პირს დაავალოს ანდერძის შედგენა, რადგანაც აღნიშნული არღვევს ანდერძის არსს.

ანდერძი მხოლოდ ერთი მამკვიდრებლის განკარგულებას უნდა შეიცავდეს. ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივად ანდერძის შედგენა არ დაიშვება.

**კითხვა: ხომ არ არის კანონით დაშვებული რაიმე გამონაკლისი იმაზე, რომ ანდერძი შეადგინოს რამდენიმე პირმა?**

**პასუხი: დიახ, ამ წესიდან დაშვებულია მხოლოდ ერთი გამონაკლისი - მეუღლეებს შეუძლიათ შეადგინონ ერთობლივი ანდერძი, მაგრამ მხოლოდ ურთიერთმემკვიდრეობის შემთხვევაში. აქ ხაზი აქვს გასმული ურთიერთმემკვიდრეობას, ე. ი. მემკვიდრეობას ერთმანეთის შემდეგ. მეუღლეთა ერთობლივი ანდერძი არ შეიძლება, გარდა მეუღლეებისა ეხებოდეს სხვა პირს. მეუღლეთა ერთობლივი ანდერძი შეიძლება გაუქმდეს ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნით, მაგრამ ჯერ კიდევ ორივე მეუღლის სიცოცხლეში.**

ანდერძი შეიძლება შეეხოს მთელ სამკვიდროს ან მის ნაწილს. თუ ანდერძით რამდენიმე მემკვიდრეა დანიშნული, მოანდერძეს შეუძლია განსაზღვროს თითოეული მემკვიდრის წილი საკვიდროდან, ან მიუთითოს, თუ რომელ მემკვიდრეზე კონკრეტულად რომელი ქონება გადავა. თუ ანდერძში ასეთი მითითება არ არის, მაშინ სამკვიდრო თანაბრად ნაწილდება მემკვიდრეებს შორის. მაგალითად, თუ ანდერძში მითითებულია, რომ მოანდერძე მთელ თავის ქონებას უანდერძებს შვილებს, მაშინ შვილები სამკვიდროს თანაბრად გაინაწილებენ.

**კითხვა: როგორ განაწილდება სამკვიდრო თუ ანდერძით რამდენიმე მემკვიდრეა დანიშნული, მაგრამ მასში მხოლოდ ერთი მათგანის წილია განსაზღვრული,სხვებისა კი არა?**

**პასუხი: მაშინ, ეს უკანასკნელნი თანაბრად მიიღებენ დანარჩენ ქონებას. მაგალითად, თუ ანდერძით გათვალისწინებულია მეუღლე და შვილები, მაგრამ ნათქვამია, რომ მეუღლეს ეანდერძა სამკვიდროს ნახევარი, ხოლო შვილების წილზე არაფერია ნათქვამი, მაშინ შვილები თანაბრად გაინაწილებენ სამკვიდროს მეორე ნახევარს.**

თუ მოანდერძემ, რომელმაც ანდერძით რამდენიმე მემკვიდრე დანიშნა, ანდერძში მიუთითა ქონებაზე მხოლოდ ერთი მემკვიდრის სასარგებლოდ და მეტი ქონება სამკვიდროში არ აღმოჩნდა, მისი ქონება ყველა ანდერძით გათვალისწინებულ პირზე თანაბრად განაწილდება.

ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება, თუ როგორ განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსი ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონების ბედს. სსკ 1350-ე მუხლის თანახმად: თუ ანდერძით დანიშნულ მემკვიდრეთა წილი მთლიანად არ მოიცავს მთელ სამკვიდროს, მაშინ ანდერძის გარეთ დარჩენილ ქონებაზე განხორციელდება კანონით მემკვიდრეობა, რომელიც შეეხება იმ კანონით მემკვიდრეებსაც, რომელთაც ეანდერძათ ქონების ნაწილი.

თუ არიან მხოლოდ ანდერძით დანიშნული მემკვიდრეები, მაშინ მათი წილი თანაზომიერად გაიზრდება. თუ თითოეულ მემკვიდრეს ანდერძით განსაზღვრული აქვს თავთავიანთი წილი, მაგრამ ყველას წილი არ ამოუწურავს სამკვიდროს მთლიანად. მაგალითად, თუ მოანდერძემ სამი მემკვიდრე დანიშნა და თითოეულს უანდერძა სამი სახლი, მაგრამ გაუნაწილებელი რჩება სამკვიდროში შეტანილი კიდევ ერთი სახლი, ის გაიყიდება და შედეგად მიღებული თანხა განაწილდება ანდერძით მემკვიდრეებზე, თუ კანონით მემკვიდრეები არ არიან.

**კითხვა: შეიძლება თუ არა მოანდერძემ ანდერძით დაავალოს სხვა პირს იმის განსაზღვრა ვინ რამდენი წილი უნდა მიიღოს?**

**პასუხი: მოანდერძეს არ შეუძლია ანდერძით დაავალოს სხვა პირს იმის განსაზღვრა, თუ ვინ უნდა მიიღოს წილი და რა ოდენობით, რადგანაც მოანდერძე, ანდერძის ნამდვილობისათვის, ვალდებულია თვითონ განსაზღვროს მემკვიდრეები და მათთვის გადასაცემი წილის ოდენობა.**

იმ შემთხვევაში თუ მამკვიდრებელმა მემკვიდრის პიროვნება განსაზღვრა ისეთი ნიშნებით, რომლებიც რამდენიმე პირს შეიძლება მიუდგეს და შეუძლებელია დადგენა, თუ მას კონკრეტულად რომელი ჰყავდა მხედველობაში, მაშინ ისინი ყველანი ჩაითვლებიან მემკვიდრეებად თანაბარი წილის უფლებით.

მაგალითად, მოანდერძემ ანდერძში მიუთითა, რომ ქონებას უანდერძებს ძმისშვილს, მაგრამ მას ჰყავს მეორე ძმისშვილიც, რომელსაც იგივე სახელი და გვარი აქვს. ასეთ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელი ძმისშვილი ყავდა მხედველობაში მამკვიდრებელს, მაშინ ორივე ძმისშვილი მემკვიდრედ ჩაითვლება თანაბარი წილის უფლებით.

მოანდერძეს შეუძლია ანდერძით მემკვიდრეობა ჩამოართვას ერთ, რამდენიმე ან ყველა ანდერძით მემკვიდრეს და აღსანიშნავია, რომ იგი არ არის ვალდებული მიუთითოს ამის მოტივზე. ამ მიზნით, მოანდერძემ შეიძლება პირდაპირ მიუთითოს იმ კანონით მემკვიდრეებზე, რომლებსაც მემკვიდრეობას ართმევს ან საერთოდ არ მოიხსენიოს ისინი ანდერძში, რაც ავტომატურად ართმევს მათ მემკვიდრეობას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პირდაპირ არ არის მითითებული ანდერძში.

**კითხვა: იქნებ აგვიხსნათ, რა უფლებით სარგებლობენ კანონით მემკვიდრეები, რომლებიც საერთოდ არ არიან მოხსენიებულნი ანდერძში?**

**პასუხი: კანონით მემკვიდრეები, რომლებიც მოხსენებულნი არ არიან ანდერძში, ინარჩუნებენ მემკვიდრეობის უფლებას სამკვიდროს იმ ნაწილზე, რომელსაც ანდერძი არ შეხებია, ასევე მიიღებენ ანდერძით გათვალისწინებულ ქონებსაც, თუ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ცოცხალი არ არიან ანდერძით მემკვიდრეები ან თუ მათ უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე.**

როცა მთელი სამკვიდრო ანდერძით მემკვიდრეებზე იყო განაწილებული, მაგრამ ერთ-ერთი მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება, მის წილ ქონებაზე კანონით მემკვიდრეობა კი არ წარმოიშობა, არამედ ამ წილს სხვა ანდერძით მემკვიდრეები მიიღებენ თანაბრად. განსხვავებულად უნდა გადაწყდეს საკითხი, როდესაც მოანდერძემ მთელი სამკვიდრო გაანაწილა ანდერძით მემკვიდრეებზე, მაგრამ ერთ-ერთი ანდერძით მემკვიდრის მიმართ ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი. ასეთ შემთხვევაში იმ მემკვიდრის წილი, რომლის მიმართაც ანდერძი გაბათილდა, გადავა არა ანდერძით მემკვიდრეებზე, არამედ კანონით მემკვიდრეებზე.

მემკვიდრეების უფლება-მოვალეობათა განსაზღვრისას ჩვენ შევეცადეთ გადმოგვეცა ის სამართლებრივი გარანტიები, რომლებსაც კანონმდებელი განამტკიცებს, მაგრამ საკითხი იმდენად ბევრის მომცველია, ალბათ მკითხველებს კვლავ წამოეჭრებათ კონკრეტული შეკითხვები, რომელთაც სიამოვნებით ვუპასუხებთ.

## ინფორმაცია

### პოლონეთის საზღვრის დამრღვევთა ხუთეულში ვართ!

**პოლონეთის საზღვრის დარღვევის მცდელობის მქონე პირებს შორის საქართველოს მოქალაქეებიც სახელდებიან.**

**მიმდინარე წელს პოლონეთის საზღვრის დარღვევის მცდელობა საქართველოს 40 მოქალაქეს ჰქონდა. ყველაზე მეტი აქტიურობით ამ მხრივ უკრაინლები გამოირჩევიან.**

**მიმდინარე წელს უკრაინის 600 მოქალაქე შეეცადა პოლონეთის საზღვრის დარღვევას. სტატისტიკის მიხედვით მეორე ადგილზე რუსეთის მოქალაქეები არიან (90 ადამიანი), მესამეზე — ბელორუსები (70 ადამიანი), მეოთხეზე — თურქები (60 ადამიანი), ხოლო მეხუთე ადგილზე საქართველოა (40 ადამიანი).**

**პოლონელი მესაზღვრეები აღნიშნავენ, რომ 2011 წელს 2010 წელთან შედარებით საზღვრის დარღვევის მცდელობის ფაქტები 10 %-ითაა შემცირებული.**

### ვარშავაში საქართველოს მოქალაქე დაჭრეს

**პოლონეთში საქართველოს მოქალაქე დაჭრეს. ამის შესახებ ადგილობრივი მედია იუწყება. გავრცელებული ინფორმაციით, დედაქალაქ ვარშავის ცენტრში მიმავალ მამაკაცს უცნობმა პირმა ცეცხლი გაუხსნა და მიიმალა.**

**დაჭრილი საავადმყოფოშია გადაყვანილი.**

**ვარშავის პოლიციის უფროსის მოადგილის ინფორმაციით, ინციდენტი ქართველებს შორის მოხდა და, სავარაუდოდ, დამნაშავეც ქართველია. მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.**

**შემთხვევის შესახებ პოლონეთში საქართველოს საელჩოსთვისაც ცნობილია. საკონსულო დეპარტამენტის წარმომადგენლები ინციდენტის დეტალების გარკვევაზე უკვე მუშაობენ.**

### არ გრცხვენიათ, მძღოლებო?!

**საქართველოში რეგისტრირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების დიდი ნაწილი საგზაო უსაფრთხოების წესების დარღვევაზე მოდის .**

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2011 წლის ივნისის თვეში სულ რეგისტრირებულია 79778 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, საიდანაც 97,29% (77613 ფაქტი), საგზაო უსაფრთხოების წესების დარღვევაზე მოდის.**

**დანარჩენი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ასე გამოიყურება: გარემოს დაცვის სფეროში — 0,03% (25 ფაქტი), საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში — 0,85% (680 ფაქტი), საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ხაზით — 0,06% (50 ფაქტი), ვაჭრობისა და ფინანსების დარგში — 0,03% (22 ფაქტი), მმართველობის დადგენილი წესის დარღვევა — 0,83% (665 ფაქტი), ნარკოტიკების უკანონო მოხმარება-შენახვა — 0,33% (260 ფაქტი) და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სხვა დანარჩენი სამართალდარღვევები — 0,58% (463 ფაქტი).**

ჯი-ეიჩ-ენი

# კონსენსუსი

ახალგაზრდა ჟურნალისტი წინა დღითვე დაუკავშირდა პარლამენტარს და ქვეყნის მტკივნეულ პრობლემებთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა სთხოვა.

— კი, ბატონო, შინ დაგელოდებით, — იყო მოკლე პასუხი.

კარი შამბახისფერთმიანმა მოსამსახურე ქალმა გაუღო. მაკა უმალ მოიხიბლა ყურებპარტყუნა პუდელით, რომელიც კართან შეეგება ჟურნალისტს და პატრონს კუდის ქიცინით წარუდგინა.

— ნურაფრისა მოგერიდებათ, თავი შინაურულად იგრძენით, — თქვა სავარძელში ყინჩად მოკალათებულმა დეპუტატმა და სტუმარს ცალყბად გაუღიმა.

**— დიდხანს არ გაგაცდენთ, ბატონო გოგა, სულ რამდენიმე კითხვით შემოვიფარგლები, — მოიკატუნა თავი ჟურნალისტმა.**

— არსად არ მეჩქარება, ვისაუბროთ რაზეც გნებავთ და რამდენიც გნებავთ, — მოიქაჩლა თავი მასპინძელმა.

**— ალბათ მოისმინეთ, ბატონო გოგა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის უტაქტო, შეიძლება ითქვას, უკმეხი განცხადება. მეუხერხულება კიდეც გავიმეორო მისი სიტყვები: „პრეზიდენტი სააკაშვილი მთელი ქართველი ხალხის ფონზე პათოლოგია და ანომალიაო“. წარმოგიდგენიათ, ამხელა ასაკისა და პოლიტიკური წონის პერსონამ რა იკადრა?**

— აბა, კაცო, — დააკანტურა ცოდნით დამძიმებულია თავი დეპუტატმა, — ჩვენთან, პარლამენტში, ყველა, უმრავლესობაც და უმცირესობაც, აღშფოთებულია რუსი პოლიტიკოსების (თუკი მაგათ პოლიტიკოსებს ვუწოდებთ) ცინიზმითა და არაკომპეტენტურობით. ლავროვის მხრიდან ასეთი განცხადების გაკეთება, უტაქტობასთან ერთად, ჩემი აზრით, უზრდელობადაც აღიქმება.

**— ის კი, პირიქით აქეთ ედავება ჩვენს ახალგაზრდა, მაგრამ ცხოვრებისეული გამოცდილებით უკვე დაბრძენებულ პრეზიდენტს — „ის ყველაფერთან ერთად ცუდად აღზრდილიც არისო“...**

— ოი, ოი, ოი! ყურო, ნუ გაიგონებ მაგათ ნაბოდვარს, — იჩქმიტა ბარძაყზე პარლამენტარმა, — ჩვენს მეგაინტელიგენტ, ევრო-ამერიკულ მაღალ საზოგადოებაში აღზრდილ-განსწავლულ პრეზიდენტს (მის დედას, ქალბატონ გიული ალასანიას) განა ეს ეკადრებათ? მე ვიცი, რაც ალაპარაკებთ მაგათ — შური, ბოღმა და მეტი არაფერი!

**— რის ბოღმა, ბატონო გოგა?**

— ბოღმა იმისა, რომ ფაქტობრივად დამარცხებულ ომში სააკაშვილმა გაიმარჯვა (ასეთი რამ მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს!), ბოღმა იმისა, რომ რუსებს დიქტატორი და ოკუპანტი პრეზიდენტი ჰყავთ, ჩვენ კი — კაცთმოყვარე, მსოფლიოში აღიარებული დემოკრატი და მოუღლელი რეფორმატორი.

**— რახან დემოკრატია ახსენეთ, ბატონო დეპუტატო, იმასთან დაკავშირებით მინდა რაღაც გკითხოთ.**

— ბრძანეთ, ბატონო.

**— გასაგებია, რომ საქართველოში ყველაფერი დიად და გამჭვირვალედ კეთდება, მაგრამ ხალხი მაინც დაეჭვებულია — რანაირად შეიძლება ქვეყანაში ყველაფერს ერთი კაცი წყვეტდეს და კერავდეს (მიხვდით, ალბათ, ვისაც ვგულისხმობ). ამით ხომ არ ირღვევა, ჩემო ბატონო, პლურალიზმისა და დემოკრატიის ნორმები?**

— პირიქით, ამის შეოხებით ვაღწევთ პლურალიზმსაც და დემოკრატიასაც.

**— მაშინ იქნება აგვიხსნათ, რანაირად შეიძლება მთელი პარლამენტი და მთავრობა სააკაშვილის თავით აზროვნებდეს და იმავდროულად დემოკრატიის მოთხოვნებსაც იცავდეს?**

— საქმეც ეს არის, ჩვენ ყველანი, ვინც პარლამენტში და მთავრობაში ვსხედვართ, განსხვავებულად ვაზროვნებთ, მაგრამ გადაწყვეტილებას იმას ვიღებთ, რასაც სააკაშვილი გვკარნახობს (უკაცრავად, უნდა მეთქვა, გვთავაზობს!).

**— რომ არ მიიღოთ?**

— მაშინ კონსენსუსი არ შედგება, ანარქია გამეფდება და ქვეყანა დაიღუპება. ჩვენ სწორედ ამ კონსენსუსის წყალობით, რომლის გარანტი სააკაშვილია, შევძელით ქვეყანაში უმუშევრობისა და სიღატაკის დამარცხება, დემოკრატიისა და კეთილდღეობის დამკვიდრება. მარტო იმის თქმა რად ღირს, რომ ღამით ადამიანებს ქუჩაში გასვლისა აღარ ეშინიათ, ავტომანქანებსაც აღარ კეტავენ, ხოლო დღისით ისე სწრაფად და მორგებულად იკეთებენ უსაფრთხოების ღვედებს, რომ მსოფლიოში ამ მაჩვენებლით მესამე საპატიო ადგილს იკავებენ.

**ამის გაგონებაზე პუდელი როგორღაც უხერხულად შეიშმუშნა.**

**— რაო, ჯეკ, —** ხელი გადაუსვა მაკამ, **— არ მოგეწონა ჩვენი საუბარი?**

**— ჯეკას ყურადღებას ნუ მიაქცევთ, — გააფრთხილა პარლამენტარმა ჟურნალისტი. — არის საკითხები, რომლებზეც მაგას ჩემგან განსხვავებული აზრი აქვს.**

**— რა საინტერესოა, —** აღფრთოვანება ვერ დამალა მაკამ, **— თქვენს ოჯახში ძაღლიც კი პლურალურად აზროვნებს.**

— ჰო, რუსეთში არ არის გაზრდილი და იმიტომ. — წაიტრაბახა დეპუტატმა.

**— აბა ოჯახში კონსენსუსის მიღწევა არ გაგიჭირდებათ.**

— არა, ძაღლია, მაგრამ კაი პოლიტიკოსივით აზროვნებს. მან იცის, რომ ამ ოჯახის სააკაშვილი მე ვარ და სისტემატურად მეკონსენსუბ-მელაქუცება.

**— ვა, ასეთი პატარა და უკვე კონსენსუსა? —** გაიკვირვა მაკამ. **— დიდი მადლობა ფრიად საინტერესო საუბრისთვის. დღეს ქვეყნის გასაჭირი ვიღას აინტერესებს, ამ ნომერს, როგორც ჩანს, ჯეკა გაგვისაღებს.**

**ოთარ ხუციშვილი**

# ვასიკოს ამბები

თავის დროზე ამ კაცს სოფელმა ბლარცი შეარქვა. ამართლებს კიდეც სახელს, დაბერდა, მაგრამ ბლარცი-ბლურცით ხეტიალს ვერა და ვერ გადაეჩვია.

— გუშინ მთელი დღე თვალი ვერსად მოგკარი, სად იყავი? — საყვედურობს ჭუტალა მეზობელი ბლარცს.

— კაცოო, გაკვირვებასა ვარ, პრეზიდენტი რო მთელი კვირა გადაიკარგება, იმას არავინ დარდობს და მე ვის რაში გავახსენდი?

— პრეზიდენტი, ძმაო, გამჭვირვალედ იკარგება, შენ კი სიბნელეში გაუჩინარდი.

— ჰო, მართალი ხარ, გუშინ ბინდბუნდზე გავუყევი ქალაქის გზასა.

— ქალაქში რა გინდოდა?

— ვასიკოსა ვსტუმრობდი.

— ვასიკო რომელი, ჯო, ვირკოდაანთი?

— რა ვირკოდაანთი, კაცო, ტელევიზორში რომ იჭყანება ხოლმე, იმაზე გეუბნები.

— იმის სანახავად, ვასიკო როგორ იგინება და იფურთხება, ქალაქში რო არ წასულიყავი, ტელევიზორით აქედან ვერ უყურებდი? აბა შამოტრიალდი, ნაფურთხით ხომ არ დაგსვარა იმ ყურუმსალმა?

— არა, კაცო, შორიახლო ვეჯექი, იქნება აბები მეც შამახვედროს-მეთქი, იმიტო ვეახელი.

— რა აბები, ჯო, გაგიჟდი? გურჯაანი აფთიაქებში აბების მეტი რა ყრია?

— მიდი აბა, ეგრევე მოგართმევენ. გავიყიდე კაცი ამდენი წამლები ყიდვითა.

— ვასიკო რა, მუქთად იძლევა?

— რავი აბა, ტელევიზორში რო ვუსმენდი, ეგრე მეგონა. მობრძანდით, წაიღეთ აბები და ყოველდღიურად ღამის 11 საათზე მიირთვითო, — გვეპატიჟებოდა.

— და შენც იფიქრე, დავხვეტავ მუქთა წამლებს და დაუთვლელ-აუწონავადა ვყლაპავო, არა? თქვი სიმართლე, აბები დედაკაცითვინაც ხო გამოაყოლე?

— ვინ მამცა, თორემ კი. ჩემი მისვლის მიზეზი რო გაიგო, იმდენი იცინა, ლამის ნეკნები ჩაეფხრიწა.

— მაინც რა გითხრა? — არ ეშვება ჭუტალა.

— ეს აბები შენისთანა ღატაკინებითვის კი არ არიო.

— აბა ვისთვინაო?

— მიშას ვუზოგავო, თუ რამე გადამრჩა, იმას კიდე მინისტრებსა და პარლამენტარებს ვუნაწილებო.

— მიშა რომელი, ჯო, პრეზიდენტი?

— აბა სხვა მიშა რომელი გვყავ? მიშა ერთია საქართველოში და მთელ საქრისტიანოსამუსლიმანოშია.

— გავიგე, მაგრამ ჩვენს თხილამურა პრეზიდენტს ვასიკოს ჭყაპურტა აბები რაში სჭირდება?

— მეც ეგ არ გამიკვირდა, მაგრამ ვასიკომ დამამშვიდა, — პრეზიდენტს აბებს სამკურნალოდ კი არა, მადის გასაძლიერებლად ვაძლევო.

— კაი კაცო! — შეიცხადა ჭუტალამ, — მაგან ქვეყანა უმადოდაც გადაჭამა და ახლა მადა თუ გავუორმაგეთ, მაშინ რაღას გვიზამს?

— უკვე გვიყო და ეგ არის, — ამოიხვნეშა ბლარცმა, — მაგრამ აქ სხვა კითხვა გამიჩნდა.

— რომელი? — დაინტერესდა მეზობელი.

— ამდენი ხორაგი პრეზიდენტს რა მუცელში ეტევა, ანდა, უკაცრაული პასუხია, როგორ ინელებს?

— ვასიკოს არა ჰკითხე?

— როგორ არა, მითხრა, მოსანელებლად კიდე დამატებით აბებს ვაძლევო.

— მაინც რომელსო?

— იმდენი ჩამოთვალა, რა დაიმახსოვრებს! აჭარული ხაჭაპურის მოსანელებლად, მაგალითად, ხვრიში ნარინჯისფერი აბები უძლევია, სუშისთვის — მოგრძო ზღვისფერი აბები, ხაშლამისა და მწვადისთვის — მწიფე ალუბლისფერი და ასე შემდეგ, ასე შემდეგ.

— მერე კაცო, ამდენი აბებიდან შენთვის ვერაფერი გამოიმეტა?

— როგორ არა, ბევრი ძებნის შემდეგ აი ეს აბები ჩამიყარა მუჭაში.

— ეგ რისა არიო?

— უმადობისო. ვინც უფულოა და ლატაკი, პარლამენტის რეკომენდაციით, ამ აბებს ვურიგებო.

— აგაშენა ღმერთმა, წამოლობიოს დავაყოლოთ! — შესთავაზა ბლარცს ჭუტალამ.

**ოტია ჩართოლანი**

## ჭადრაკის ენა-პირით

**სხვა გზა არა ჩანს, უნდა**
**„ქიშ“ გიყო,**
**ჩემო გიჟიკო, ჩემო მიშიკო...**
**როდემდე დაგრჩე, როდემდე ვიყო**
**ასე კვნესით და ვაი-ვიშითო...**
**საქმე წავიდა მართლა შავადო,**
**სასწრაფოდ უნდა დაგაშამათო...**

## მართლა და მართლა, ბიცოლა მართა...

**ახლახან ნანახ კადრებს**
**გაოცებული შერჩა,**
**ტელეეკრანთან მჯდარი**
**ბიცოლაჩემი მართა:**
**— „სამალიოტის“ მართვა ქე**
**უსწავლია, ბეჩა,**
**ოღონდ როდისღა უნდა ისწავლოს**
**ქვეყნის მართვა?..**

**გაგა მასხარავა**

## დღის კარიკატურა




## დღის კარიკატურა



# მოდი და ნუ გაგეცინება

— სად დასეირნობ გვიან ღამემდე? — უჯავრდება თავის თექვსმეტი წლის ქალიშვილს დედა. — მე შენი ხნისა რომ ვიყავი...

— კი, კი, დედიკო. ვიცი, მე ხომ მაშინ ზუსტად ორი წლის გავხდი.

* * *

— ექიმო, მიშველეთ. ღვიძლი სულ დამეშალა.

— თქვენ ადეკალონს სვამთ?

— ვსვამ, მაგრამ არა მშველის.

* * *

შეიკრიბნენ ლოთები დასალევად. ერთ-ერთ მათგანს მეგობარი ეუბნება.

— რა შტერივით დგახარ და არაფერს აკეთებ?

— თქვენ რა, ვერ ხედავთ ხელები როგორ მიკანკალებს?

— ძეხვი მაინც დაჭერი.

— არ შემიძლია და რა ვქნა!

— ბოთლი მაინც გახსენი.

— ხომ გითხარით, რომ არ შემიძლია.

— ნუთუ არაფერი არ შეგიძლია?

— შემიძლია... მარილი მოვაყარო...

* * *

კაბინეტში დირექტორი „ესიყვარულება“ თავის მდივანს.

— არ დაკეტოთ კარები, თორემ ვინმე იფიქრებს, რომ არაყს ვსვამთ.

* * *

ისმის კითხვა: რატომ გახშირდა ცოლ-ქმრის გაყრა ალკოჰოლის აკრძალვის შემდეგ?

— ბევრმა ქმარმა პირველად შეხედა თავის ცოლს ფხიზელი თვალით.

* * *

— რა იქნება, რომ შევაჯვაროთ გველი და ზღარბი?

— ასი მეტრი ეკლიანი მავთული.

* * *

— შეიძლება დაიწყოს მსოფლიო შიმშილი?

— შეიძლება, თუ ჩინელები კოვზით ჭამას ისწავლიან.

* * *

— რა იყო ადრე: კვერცხი თუ ქათამი?

— ადრე ყველაფერი იყო.

შეარჩია
**რევაზ ტყემალაძე**

კალათბურთი



# ქელკოს არჩევანი

**როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნული ნაკრების 22 წლის ცენტრალური თავდამსხმელი გიორგი შერმადინი შარშან სლოვენიის „ოლიმპიაში“ იყო განათხოვრებული, თუმცა კონტრაქტით ბერძნულ „პანათინაიკოსს“ ეკუთვნის.**

ბუნებრივია, გულშემატკივარს აინტერესებს, სად გააგრძელებს 216 სმ სიმაღლის გიგანტი კარიერას.

აქამდე სერიოზულად განიხილებოდა ჩვენი თანამემამულის თელ-ავივის „მაქაბიში“ ან ესპანურ „მანრესაში“ გადაბარგების ვარიანტები, მაგრამ ამ დღეებში შევიტყვეთ, რომ ათენელთა მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა უარი განაცხადა მის გასხვისებაზე და დამდეგ სეზონში გიოს ძველ პარტნიორებთან ერთად მოუწევს ევროლიგის ჩემპიონის ტიტულის დაცვა.

შეგახსენებთ, რომ ნატახტრელი ყმაწვილი თავის დროზე ჯამლეტ ხუხაშვილმა აღმოაჩინა და საკალათბურთო სამყაროს თბილისის „მაქაბიში“ შთამბეჭდავი თამაშით გააცნო.

**გიორგი შოთაძე**

ჩოგბურთი

# ნადალის „ნადავლი“

**ეტყობა, თანდათან ესვენება მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის რაფაელ ნადალის მზე, რასაც მონრეალის მასტერსზე განვითარებული მოვლენები ადასტურებს.**

უკანასკნელი სამი სეზონის განმავლობაში ესპანელი პირველად გამოეთიშა ანალოგიურ პრესტიჟულ ტურნირს პირველივე ეტაპზე და ამჯერად მისი ცოდვა ხორვატმა ივან დოდიგმა დაიდო, რომელმაც 19 ეისი (პირველი მოწოდებაძ ჩააგდო.



არადა, თავიდან ყველაფერი თითქოს ლოგიკურად ხდებოდა — მალიორკელი პირველი პარტიის იოლად — 6:1 მოგების შემდეგ მეორეშიც ბრეიქით დაწინაურდა — 5:3. მეტოქემ ღირსეულად აიცილა წაგების საფრთხე, გაიმარჯვა — 7:6 და საქმე გადამწყვეტ სეტამდე მიიყვანა.

აღსანიშნავია, რომ რაფამ ისიც ფავორიტის სტატუსის შესაბამისად დაიწყო — 3:0, მაგრამ უტეხი სულის ბალკანელი კვლავ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა — კიდევ ერთ ტაიბრეიქში „ივანე მრისხანეს“ ზედიზედ მეორედ გაუწია მეკავშირეობა რკინის ნერვებმა — 7:6. დავძენთ, რომ პირენეელის ხვედრი იმავე დღეს ელიტის ბრიტანელმა წევრმა ენდი მიურეიმაც გაიზიარა.

რაც შეეხება საერთაშორისო რეიტინგის ამჟამინდელ ლიდერ ნოვაკ ჯოკოვიჩს, იგი კორტზე ერთთვიანი შესვენების შემდეგ გამოჩნდა და უკვე მოასწრო მეოთხედფინალში გასვლა. სერბმა ამას რუსი ნიკოლაი დავიდენკოსა და ხორვატი მარინ ჩილიჩის ძლევით მიაღწია.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფეხბურთი

# მოზაიკა

გენერალური სპონსორი
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის
ლიგა

**ეროვნული ჩემპიონატის II ტურში ინტერესს იწვევს თბილისური დერბი „დინამო“ — „ვიტ ჯორჯია“, რომელიც ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე დღეს 18 საათზე დაიწყება.**

მოგეხსენებათ, 18 აგვისტოს ალექს გარსიას გუნდი ათენში ევროპის ლიგის პირველ პლეიოფს გამართავს აეკ-თან, ამიტომ პრინციპულ მეტოქესთან დღევანდელი ბრძოლა გენერალურ რეპეტიციად უნდა მივიჩნიოთ. დღესვე შედგება „თეთრ-ლურჯთა“ მეოთხე ესპანელი ლეგიონერის მიკელ ალვაროს დებიუტი.

* * *

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მოეწყო დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალისტთა კენჭისყრა, რომელმაც უმაღლესი ლიგის 8 და პირველი ლიგის 16 კლუბი ასე დააწყვილა (17 აგვისტო, 13 და 14 სექტემბერიძ.**

**აღმოსავლეთი ზონა**

„სიონი“ — „ნორჩი დინამოელი“, „აეტი“ — „დილა“, „ცხინვალი“ — „ზოოვეტი“, „ვიტ ჯორჯია“ — სტუ, „ჩიხურა“ — „ლოკომოტივი“.

**დასავლეთი ზონა**

„სამტრედია“ — „სულორი“, „ბათუმი“ — „მერცხალი“, „ბაია“ — „ჩხერიმელა“, „ტორპედო“ — „მესხეთი“, „კოლხეთი“ (ხობიძ — „კოლხეთი (ფოთიძ, „გურია“ — „ჭიათურა“, „მერანი“ (მარტვილიძ — „სქური“.



ევროტურნირების მონაწილეები თბილისის „დინამო“, რუსთავის „მეტალურგი“, „გაგრა“ და „ზესტაფონი“ ბრძოლაში მერვედფინალიდან ჩაებმებიან.

* * *

**ახლახან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს რიკარდო ტეიშეირას აუწყა, რომ ბატონი ნიკო პატარქალიშვილი წლეულს, ნოემბერში თბილისში აპირებს ოთხთა საერთაშორისო ტურნირის ორგანიზებას საქართველოს, ბრაზილიის, ურუგვაისა და პარაგვაის ნაკრებთა მონაწილეობით, რომელსაც საპატიო სტუმრის სტატუსით დაესწრება ფეხბურთის მეფე — პელე.**



იქვესფფ აღნიშნავს, რომ იგი არაა ჩართული აღნიშნულ პროექტში და გამოთქვამს დაინტერესებას, რამდენადაა ინფორმირებული სამხრეთამერიკული მხარე მომავალი ასპარეზობის შესახებ.

საპასუხო წერილში, რომელიც ბრაზილიიდან ოპერატიულად მოვიდა, ვკითხულობთ: „გატყობინებთ, რომ ბრაზილიის ეროვნული ნაკრები არ არის აღნიშნულ პროექტში ჩართული. ასევე არა მაქვს ინფორმაცია ბატონ პელეს თქვენს ქვეყანაში ვიზიტთან დაკავშირებით“.

დაგვეთანხმებით, კომენტარი ზედმეტია.

* * *

**ინგლისის, განსაკუთრებით მისი დედაქალაქის ლონდონის ქუჩებში განვითარებული მოვლენების გამო გაურკვეველი ვადით გადაიდო პრემიერლიგის პირველი ტურის მატჩი „ტოტენჰემი“ — „ევერტონი“. იგი დღეს უნდა გამართულიყო.**

* * *

**ესპანეთის პრიმერადივიზიონის სტარტი, რომელიც 20 აგვისტოსთვისაა დანიშნული, შესაძლებელია ჩაიშალოს.** ამის მიზეზია პირველი და მეორე ლიგების ფეხბურთელთა გაფიცვა, რომლებიც თავიანთი პროფესიული კავშირის მეშვეობით პრიმერას შეფებისგან მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით უშედეგოდ ითხოვენ კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებას.

* * *

**უეფას სადისციპლინო კომიტეტმა გარიგებულ მატჩებში მონაწილეობისთვის ქალაქ ვოლოუს „ოლიმპიაკოსი“ ევროპის ლიგიდან მოკვეთა. მის ნაცვლად პლეი-ოფში ლუქსემბურგის „დიფერდანჟი“ ითამაშებს და „პსჟ“-ს შეხვდება.**

სხვათა შორის, ბერძნული კლუბი, იქაური ფეხბურთის მესვეურთა აზრით, შარშან თაღლითური გზით აღზევდა ელადის ჩემპიონატის V ადგილამდე, ამიტომ ორიოდე კვირის წინათ სუპერლიგიდან გარიცხეს და მეორე ლიგაში მიუჩინეს ადგილი.

**მანუჩარ გიორგაძე**

ინტერნეტიდან

# მეტოქე ლამაზმანები

**ლამაზი ქალიშვილებისა თუ ქალბატონების თაყვანისმცემლებს კარგად ახსოვთ, თუ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დროს სამხრეთ აფრიკაში როგორ აღზევდა პარაგვაელი ლამაზმანი ლარისა რიკელმე. ჩემპიონატის შემდეგ ლარისამ დაიწყო მოგზაურობა მსოფლიოში და ზედიზედ იპყრობდა თავისი სილამაზითა და ქარიზმით ქვეყნებსაც და იქაური მამაკაცების გულებსაც.**

თუმცა ტყუილად კი არაა ნათქვამი — დრონი მეფობენ და არა მეფენიო. დაახლოებით ასე დაემართა აფრიკული მუნდიალის სიმბოლოსაც ახლახან გამართულ ამერიკის თასის გათამაშებაზე. „კოპა ამერიკაზე“ ლარისას მეტოქე გაუჩნდა თანამემამულე პატი ორუეს სახით, რომელიც მზადაა ჩამოართვას მას მსოფლიოში ყველაზე ცნობილი და ლამაზი გულშემატკივრის წოდება.

როგორც ამბობენ, პატი ორუე სამშობლოში — პარაგვაიში შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატამდე უფრო პოპულარული იყო, ვიდრე ლარისა. ახლა პატი მექსიკას სტუმრობს და ფეხბურთზეც ხშირად დადის.

ამ დღეებში ის ყოფილა მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს სტადიონზე — „აცტეკაზე“, როდესაც იქ კლუბი „ამერიკა“ თამაშობდა. თურმე ცეცხლოვანი მექსიკელი მამაკაცები, ფეხბურთი ყველაფერს რომ ურჩევნიათ, ამ დროს ფეხბურთს კი არა, ლამაზმანს უყურებდნენ და ტკბებოდნენ.



## ◎ დრო, დრო აღნიშნე!..



### ძლევაი საკვირველი

ბედის ბორბალი გადამიგორდა,
როცა კრწანისთან გაწყდა ზონარი,
მაგრამ ძლევაი ვნახე დიდგორთან,
საკვირველი და გაუგონარი.

იმათ სახელებს აღარ დავითვლი,
მათ სათითაოდ იცნობს უფალი
და მობრძანდება დიდი დავითი,
მარადიული ჭირისუფალი.



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს

თქვენო უწმინდესობავ,
თქვენო უნეტარესობავ,
თქვენი უნეტარესობა,
თქვენი უწმინდესობა
შინაურ და გარეშე მტერს
გულს ეკლად რომ ესობა,
ამაშია ჩვენი ძალა
და უპირატესობა...



### ჩარგალში

აქ ვაჟას ლექსი ისმოდა,
ახლაც შრიალებს ფურცელი,
მგონია სამერმისოდან
მის ბუმბერაზ მთებს ვუცქერი.

ბუდე გაუდგამთ გუგულებს,
ბეღურებსა და ბულბულებს,
ზვიდაური გუგუნებს
და ხევი ექოს უბრუნებს.

ცა ელვამ წითლად გახაზა
და გაიფურჩქნა ვარდივით,
მთაზე გადმოდგა ალაზა,
შავი კაბით და მანდილით.

უფლის განგება დიდია,
„ხევი მთას მონებს, მთა – ხევსა",
ხევსურნი ომში მიდიან,
მტერს დაუგებენ მახესა.

ბახტრიონს მიდის სანათა,
ვერ დაღლის გზათა სიშორე,
საქართველოში სამართალს
წამლადაც ველარ იშოვი.

თეთრი არაგვის ხმაური
მეტაფორაა ფრთიანი,
„ალუდა ქეთელაური
კაცია დავლათიანი."

სანათამ დროშა გაშალა,
მტერი არ ცხრება ოხერი,
ესეც მთა, ესეც ლაშარი
და ესეც ბერი ლუხუმი.

მაშვრალი ვაჟა-ფშაველა,
მოდის მამულის საშველად,
წელზე აქვს ქამარ-ხანჯალი
და გულში – ფიქრი მტანჯავი.

**შოთა ზოიძე**
ქ. ბათუმი.

## ◎ ინფორმაცია

### ცურვის წესების დაარღვევის გამო დააჯარიმეს

შსს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში სასაზღვრო რეჟიმის დარღვევის ფაქტზე საქართველოს მოქალაქე ზურაბ აბესლამიძე დააჯარიმეს, რომელმაც ზომამცირე გემით საქართველოს საზღვაო წყლებში ცურვის წესები დაარღვია.

ზურაბ აბესლამიძეს ჯარიმა 300 ლარის ოდენობით დაეკისრა.

# ნიუ იორკის ქართული ზაფხული

**ივნისის ბოლოს „დიდი ვაშლის ქალაქის" ცენტრში უკვე 26-ედ „ემიგრანტთა საერთაშორისო ფონდის" ორგანიზებით ემიგრანტთა საერთაშორისო აღლუმი ჩატარდა.** ამ აღლუმში უკვე მესამე წელია ქართველებიც მონაწილეობენ. წელს ამ ხალხმრავალი ღონისძიების „მოთხოვნა" გახლდათ ის, რომ ნიუ იორკში მცხოვრებ სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს თავიანთი ტრადიციული სამოსი, მუსიკა და ცეკვა უნდა წარედგინათ. იმ დღეს მანჰეტენი ძალიან ხმაურიანი იყო, ქართულ დროშებთან ერთად სხვა ქვეყნის დროშებიც ფრიალებდა, მულტიკულტურალიზმს, ანუ ჩვენებურად, ერთად ყოფნასა და ნიუიორკელობას ნაციონალურ კოსტიუმებში გამოწყობილი დიდი თუ პატარა თავის ენაზე სიმღერით აღნიშნავდა.



* * *

**ივლისის შუა რიცხვებში წმინდა ქალწულის მფარველის საკათედრო ტაძრის მხარდაჭერით ქართველ ხელოვანთა ხელით ნაკეთი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა.** ყოველ კვირა დღეს ქართველების ნამუშევრების ჩვენება, ფაქტობრივად, უკვე ტრადიციად იქცა. მარი ციყელაშვილი პროფესიით ჟურნალისტია. კერვა, ქარგვა, ქსოვა და სამკაულების კეთება ყოველთვის იყო მისი ჰობი. ახლა კი ეს ჰობი სერიოზულ საქმედ, ბიზნესად გადაიქცა. გამოფენის პირველ დღეს სწორედ მარის ორგანიზებით შეიკრიბნენ ქართველი მხატვრები ნინო ქურდაძე, დარეჯან ადამაშვილი, ნინო წერეთელი და თავიანთი ნაკეთობები გამოფინეს. ქართველების ხელოვნებით ბევრნი დაინტერესდნენ. იყიდეს კიდეც. მსოფლიოში ხელთნაკეთი, საცალო ყველგან ფასობს. სწორედ ამგვარი ქართული ნაწარმის „პრომოუშენისთვის" შექმნა მარიმ ვებგვერდი www.mluxueris.com, სადაც გარდა ამერიკაში მცხოვრები ქართველებისა, ამჟამად საქართველოში მყოფთა ნაკეთობებიცაა განთავსებული. ვებგვერდის შემქმნელის მიზანიც სწორედ ქართული პროდუქციის ექსპორტია. მარის მისი თანამემამულეები თავინთ ნაკეთობებს თბილისიდანაც უგზავნიან. ვებგვერდის საშუალებით, ბუნებრივია, ქართველ ხელოვანთა ნამუშევრების დათვალიერება, მათი შეძენა და სახლში ტრანსპორტირებაა შესაძლებელი. აქაა ნუკრი აბაზაძის სკულპტურები; ნინო წერეთლის თექა და სამკაულები; ნინო ქურდაძის სამკაულები; მარი ციყელაშვილის სამკაულები, ნაქსოვები; ნინო როსტომაშვილის ტიხრული მინანქარი; სოფო იმერლიშვილის გამხმარი ყავილებიანი მისალოცი ბარათები; მიხეილ აბრამიშვილისა და დარეჯან ადამაშვილის თოჯინები.

* * *

**12 წელია ნიუ-იორკში Midtown international Theatre Festival ტარდება. წელს ამ ფესტივალის ფარგლებში რეჟისორ რამაზ ზურაბაშვილის მიერ წარმოდგენილი იყო ლია ბახტურიძე – სირელსონის დრამა „სარკე".** ლიამ თავის მეუღლესთან ვიქტორ სირელსონთან ერთად ნიუ-იორკში პირველი ქართული თეატრი დააარსა (2008წ. 2008-ის 14 სექტემბერს კი ქართველმა მაყურებელმა ამერიკულ სცენაზე მის მიერ ადაპტირებული ოტია იოსელიანის „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი" იხილა. როგორც „შინაბერებში", ასევე „სარკეშიც" ძირითადად არაპროფესიონალი მსახიობები არიან დასაქმებულნი. „სარკის" შინაარსი კი ისეთივე სევდიანია, როგორიც – ემიგრაცია. შეჭირვებული ოჯახის დედა, რომელიც შემოდგომის აზნაურივით თავისი გვარ-ჯილაგის არც ერთ მტკაველს არ თმობს, ცდილობს ერთადერთი ქალიშვილი ამერიკელ ქართველს, ვითომ უოლსთრითგამოვლილ, ეკონომიკურად პერსპექტიულ სასიძოს მიათხოვოს. ყმაწვილს, რომლის რჩევის გარეშეც თურმე მსოფლიოში ყველაზე ცნობილ ფინანსურ ქუჩაზე „ჟუვაჩკასაც" კი არ ყიდულობენ...

* * *

**30 ივლისს ნიუ იორკში კინოპროექტ „საქართველოს ხერხემალი" ფილმების ჩვენება მოეწყო.** მისი ხელმძღვანელის ალექს გელაშვილის თქმით, ის ფილმები, რომელიც საქართველოში სტუდიის – „გუთანი" – მიერ არის გადაღებული, მოწოდებულია საქართველოს ისტორია, კულტურა, მართლმადიდებლობა, უფრო მეტ ადამიანს გააცნოს, მათ შორის, იმათ, ვინც სამშობლოდან შორს ცხოვრობს.

* * *

**8 აგვისტოს ნიუ იორკში, აგვისტოს ომის მესამე წლისთავს ქართული სათვისტომოს ორგანიზებით რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო მსვლელობა მოეწყო. მსვლელობა დასრულდა გაეროში რუსეთის წარმომადგენლობის შენობის წინ.**

**ია მერკვილაძე,**
ჩვენი საკ. კორ.
ნიუ იორკი, აშშ.

## ◎ სხვა გაზეთიდან

# მ. კადაფი: ნატო ცრუობს მთელი მსოფლიოს წინაშე!

### ლიბიის ლიდერის ოჯახის წევრის ექსკლუზიური ინტერვიუ

**გასულ კვირას ნატოს ავიაცია აგრძელებდა დარტყმის მიყენებას ლიბიაზე. რა სურს დასავლეთს და რა ხდება სინამდვილეში ამ არაბულ რესპუბლიკაში? ჩვენი გაზეთის ჟურნალისტებმა შეძლეს გასაუბრებოდნენ შერისხული ლიბიელი ხელმძღვანელის ძმისწულს, ლიბიის საბავშვო ფონდის გენერალურ მდივანს სალხ ალ კადაფის.**

**– რას ფიქრობს ლიბიის ხელისუფლება რუსეთის შესახებ, მისი პოზიციის შესახებ მიმდინარე ომთან დაკავშირებით? და, სხვათა შორის, სწორია, რომ ლიბიის ხელმძღვანელობას აქვს არა მხოლოდ დიდი ხნის პოლიტიკური, არამედ ნათესაური კავშირებიც ჩვენს ქვეყანასთან?**

– დიახ, მუამარ კადაფის დედა წარმომავლობით არის ადიღეის უცხოური დიასპორის ოჯახიდან. ასეთი ხალხი ლიბიაში 20 ათასზე მეტია. ჩემი წინაპრები ოდესღაც ცხოვრობდნენ კავკასიაში. და მე ვიცი, რომ მუამარ კადაფის ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს რუსეთთან. ამიტომ ჩვენ ჩამოვედით აქ, რათა ვუთხრათ ხალხს: ლიბიის ხალხი დაიღალა ომისგან! ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ თქვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო მოაწესრიგებს კონფლიქტს დიპლომატიურ დონეზე და სისხლისმღვრელი დაბომბვები შეწყდება.

ნატოს წარმომადგენლები ამბობენ, რომ სამხედრო ოპერაცია ეწყობა ხალხის კეთილდღეობისთვის. სინამდვილეში ისინი მშვიდობიანი მოსახლეობის, ქალების, ბავშვებისა და მოხუცების წინააღმდეგ მოქმედებენ. გაეროს საბავშვო ფონდის მონაცემებით, ჯერ კიდევ საომარი მოქმედებების დაწყებამდე ბევრი ქალი და ბავშვი ლტოლვილი გახდა, ცდილობდნენ თავი შეეფარებინათ ტუნისსა და ეგვიპტეში. ამ



ქვეყნების საზღვრებზე უამრავმა ბავშვმა მოიყარა თავი, რომლებმაც სერიოზული ზიანი განიცადეს ომისგან. ბევრი ბავშვი დაიღუპა ჩვენს ქვეყანაში.

**– რეპორტაჟებში ლიბიიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ხალხი ქვეყნის შიგნით ორ ბანაკად არის გაყოფილი. თქვენი აზრით, რა ხდება სინამდვილეში?**

– სამწუხაროდ, წამყვანი საზღვარგარეთული ტელეკომპანიები ამახინჯებენ ინფორმაციას. როდესაც საომარი მოქმედებები დაიწყო, მუამარ კადაფმა მიმართა მეამბოხეებს და არმიას, მოუწოდა მათ გავიდნენ შორს ქალაქებიდან, რათა მშვიდობიანი მოსახლეობა არ მოხვედრილიყო სროლებში. მან შეახსენა, რომ ძმას არ შეუძლია იბრძოდეს ძმის წინააღმდეგ, და ყოველმა ლიბიელმა ეს იცის. მაგრამ ქვეყანაში არის ძალიან ბევრი უცხოელი მოქალაქე და ეს იყო მათი შანსი მოეპოვებინათ ფული ჩვენს სამოქალაქო ომში. არსებითად, კონფლიქტი პროვოცირებული იყო, ეს ხალხი ფულს შოულობდა გარედან. მაგრამ სინამდვილეს ამის შესახებ არავინ აჩვენებდა. მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები არც მალავენ, რომ მათ აინტერესებთ მხოლოდ ერთი მხარე – ის, რომელიც კადაფის წინააღმდეგაა. სხვა აზრი კონფლიქტის შესახებ ეთერში არ გადის.

**– შეტაკების მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო ქვეყანაში ცხოვრების დონით უკმაყოფილება?**

– ლიბია – მეტად მდიდარი და სოციალური თვალსაზრისით სტაბილური ქვეყანაა. ქვეყნის კეთილდღეობის ზრდის შესახებ შეიძლება ვისაუბროთ თუნდაც საერთაშორისო კონფერენციებისა და ფორუმების ოდენობით, რომლებიც იმართებოდა ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. ჩვენი ქვეყანა სიამოვნებით იწვევდა სტუმრებს, იხდიდა ყველა ხარჯებს... მათ, ვინც მოახდინა ომის პროვოცირება, არ აინტერესებს ხალხის კეთილდღეობა. მათ აინტერესებთ ნახშირწყალბადების მარაგები: ზოგიერთი მათგანის მოცულობის მიხედვით ლიბიას მესამე ადგილი უკავია აფრიკის კონტინენტზე.

**– როგორია, თქვენი აზრით, სამხედრო კონფლიქტიდან გამოსავალი?**

– ჩვენ შთაგონებას გვანიჭებს ის, რომ რუსეთი გმობს ნებისმიერ აგრესიას. არის ინიციატივა შეიქმნას საერთაშორისო კონფერენცია ან მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა ხელმძღვანელების შეხვედრა იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც მხარს არ უჭერენ გაეროს უშიშროების საბჭოს № 1970 და № 1977 რეზოლუციებს. ამგვარ შეხვედრას შეიძლებოდა ხელი შეეწყო ლიბიაში კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტისთვის.

**ელენა კოსმაჩოვა**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

# ლიტერატურული კონკურსი

**გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" რედაქცია აცხადებს კონკურსს პოეზიასა და მსოფლიო ხალხთა პოეტურ თარგმანებზე**

საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით: ერთი კონვერტით იგზავნება საკონკურსო მასალა და დევიზი, მეორე კონვერტით – ავტორის გვარი, სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების ჩამონათვალი და დევიზი: **(კონვერტზე დაუშვებელია ავტორის გვარის მითითება).**

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" თანამშრომლებისა და სარედაქციო საბჭოს წევრებისა.

**დაწესებულია პრემიები**

**(პოეზიაში)**

ერთი სპეციალური პრემია – საქართველოს პირველი ლედის – **სანდრა - ელისაბედ რულოვსისაგან;**

პირველი პრემია – 1000 ლარი – **ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობისაგან;**

ორი მეორე პრემია – 500-500 ლარი – საქართველოს პირველი ლედის – **სანდრა-ელისაბედ რულოვსისა** და **ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისაგან;**

მესამე პრემია – 250 ლარი – **თბილისის სახელმწიფო მორფოლოგიის ინსტიტუტისაგან.**

**(თარგმანებში)**

პირველი პრემია – 500 ლარი – **საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედის L" ინტერნაციონალის ახალციხის ფილიალისაგან;**

მეორე პრემია – 300 ლარი – **სსიპ ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება-კოლეჯისაგან.**

გამარჯვებულებს პრემიები გადაეცემათ 2011 წლის ოქტომბერში – საქართველოს პირველი ლედის სანდრა-ელისაბედ რულოვსის პატრონატით ჩატარებულ „პოეზიის დღის – შოთაობის" ტრადიციულ სახალხო დღესასწაულზე.



საკონკურსო ლექსები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ დაბეჭდილი ფორმით, ხელნაწერი არ მიიღება.

კონკურსში გამარჯვებული ლექსები გამოქვეყნდება გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში."

საკონკურსო მასალა, **არაუმეტეს 5 გამოუქვეყნებელი ლექსისა და თარგმანისა**, უნდა გამოიგზავნოს 2011 წლის 30 სექტემბრამდე შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის რაიონი, დ.ასპინძა, თამარის ქუჩა № 3.

**გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" რედაქცია.**
**ტელ: 5 99 97 95 24**

## სტუდენტთა საყურადღებოდ!

**აკადემიკოს ალექსანდრე კუჭუხიძის საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ეკონომიკურ, სამართალმცოდნეობისა და ჟურნალისტიკის II, III და IV კურსებზე ნებადართულია ამავე პროფილის სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან საამისო სურვილის მქონე სტუდენტთა გადმოყვანა. ამ უნივერსიტეტში სწავლების წლიური საფასურია 1700 ლარი. საბუთების მიღება იწარმოებს 25 სექტემბრამდე. სასწავლო წელი დაიწყება 1 ოქტომბერს.**

**მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 45. საკონტაქტო ტელეფონები: 2 31 18 50, 2 31 14 75.**

**რექტორატი**

## ◉ დაიჯესტი

### „მარსელი"

**გზა, იაპონიის კუნძულ ჰოკაიდოს ტყით დაფარულ მთებში რომ მიიკლაკნებოდა, შორეული რეისების მძღოლისთვის კარგად ნაცნობი იყო, მივლინებაც ნორმალურად მიმდინარეობდა მანამდე, სანამ გზაზე მიცუო ნარა რაღაც საშინელებას შენიშნავდა.** მან საჭე მკვეთრად დაატრიალა და სატვირთო მანქანა ხეს დაეჯახა... შემთხვევის ადგილზე მძღოლის მიერ გამოძახებული პოლიცია რომ მივიდა, გულგახეთქილმა კაცმა ხმის კანკალით უამბო, რომ გზაზე... უცხოპლანეტელს გადაეყარა! პოლიციელებმა მაშინვე დაიწყეს კოსმოსელი სტუმრის ძებნა და მალევე მიაგნეს კიდეც... ახალგაზრდა დათვს, რომელსაც თავი... ნაგვის ურნაში ჰქონდა გაჭედილი და ამაოდ ცდილობდა მის მოცილებას.



### ავტოგამყალბებელი რაფანოვიჩი

**მოსკოვის დოროგომილოვის სასამართლომ ბანკ „სენატორის" ყოფილ მფლობელს ოლეგ რაფანოვიჩს ალა პუგაჩოვასთვის 4 მილიონ 714 ათას 465 დოლარისა და 300 ათასი რუბლის გადახდა დააკისრა.**

2009 წელს რაფანოვიჩმა პუგაჩოვასგან აღნიშნული თანხა ისესხა, მაგრამ ვალი დროულად არ დაუბრუნებია. სასამართლოზე მან განაცხადა, რომ პუგაჩოვას მიერ წარმოდგენილ ხელწერილებზე ხელმოწერები მისი არ არის, მაგრამ ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ ხელწერილები რაფანოვიჩის ხელითაა დაწერილი. დასკვნაში მითითებულია, რომ ადგილი აქვს ავტოგაყალბებას: როცა ყოფილი ბანკირისგან ხელმოწერის ნიმუშებს ილებდნენ, იგი მათ შეცვლას ეცადა. ამჟამად რაფანოვიჩის ქონება დაყადაღებულია, ხოლო კუთვნილ თანხას რუსეთელ „სახალხო პრიმადონას" მისი გაყიდვის შემდეგ დაუბრუნებენ.



### ინდივიდუალური მიდგომის ხიბლი

**„სერ! წინა პარასკევს დასავლეთის მაგისტრალის მე-18 მილზე თქვენ ქუჩაში მოძრაობის წესები დაარღვიეთ. თქვენი ავტომანქანა კონტროლზეა აყვანილი. მოგმართავთ, რათა გზაზე მოძრაობისას მეტი ყურადღება გამოიჩინოთ!"**

ამ შინაარსის რამდენიმე ათასი წერილი გაუგზავნეს წლეულს ინგლისის საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა დამრღვევ მძღოლებს, თუმცა, თუ ზოგმა წერილმა უმრავლესი მძღოლი უფრო ყურადღებიანი და ფრთხილი გახადა, ზოგზე არანაირი ზემოქმედება არ მოუხდენია. აღმოჩნდა, რომ ის წერილები, რომლებსაც მძღოლებმა ყურადღება



არ მიაქციეს, ტოპოგრაფიულად, ბლანკებზე იყო დაბეჭდილი, რომლებშიც ხელით მხოლოდ დამრღვევთა გვარები იწერებოდა. „ეფექტიანები" კი კომპიუტერული წესით იყო აწყობილები და პირადი წერილის შთაბეჭდილებას ახდენდნენ.

### თითო „მარტინი ბრილიანტი" ხომ არ დაგველია?

**რომელ ჩვენგანს არ უფიქრია ახლობელი ადამიანისთვის საჩუქრის არჩევისას? ზოგჯერ ჩვენს საყვარელ ხალხს წიგნს, ნახატს, სამკაულს, ყვავილებსა და შოკოლადს, ზოგჯერაც რაიმე გამორჩეულ სასმელს ვჩუქნით, მაგრამ, დარწმუნებულნი ვართ, რომ ცოტა ვინმე თუ მოიძებნება ჩვენ მკითხველებს შორის, ვისაც გულითადი მეგობრისთვის საჩუქრად... კოქტეილი მიერთმიოს.**

კოქტეილი რა საჩუქარიაო, იტყვის რომელიმე თქვენგანი, მაგრამ, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეცდება, რადგან კოქტეილსაც გააჩნია. მაგალითად, ნიუ-იორკის „ალგონკინ ოტელში" სტუმრებს არაყის, ვერმუტის, ზეთისხილისა და „პატარა წყლისფერი კენჭის" კოქტეილ „მარტინი ბრილიანტს" სთავაზობენ. მისი დაცლის შემდეგ მსმელი ჭიქის ფსკერზე... ბრილიანტს აღმოაჩენს. „კოქტეილ ბრილიანტს" აუცილებლად წინასწარ უკვეთავენ, ამიტომ შემკვეთი წინასწარვე აფრთხილებს მის დამლევს, რომ ფრთხილად იყოს. კოქტეილის ფასი 10 ათასი დოლარიდან 100 ათას დოლარამდე მერყეობს, რაც ბრილიანტის ზომაზეა დამოკიდებული, არაყი, ვერმუტი და ზეთისხილი კი უფასოა.



გარდა ამისა, „საიუველირო კოქტეილებს" ასევე ამზადებენ ლონდონის „შერატონ პარკ ტაუერის" „პიანო ბარში", სადაც კოქტელ „დაიმონდის", მინიმალური ფასი 4350 დოლარია და კონექტიკუტის შტატის ქალაქ ლედიარდის კაზინო „ფოქსვუდს რიზორტში" („საპფირ მარტინი", ფასი 3000 დოლარი). ორივე კოქტეილში, ცხადია, სხვადასხვა ზომის ბრილიანტი ან ლალია.

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული „უბრილიანტო" კოქტეილი 515 დოლარი ღირს. მის შემადგენლობაში შედის კონიაკი „რიტც რეზერვი", რომლის ვენახი XIX საუკუნეში განადგურდა და სადღეისოდ მსოფლიოში მისი მხოლოდ რამდენიმე ბოთლია შემორჩენილი. ამ კოქტეილის დაგემოვნება მხოლოდ პარიზის სახელგანთქმული სასტუმრო „რიტცის" „ჰემინგუეი ბარშია" შესაძლებელი. ბოლო სამი წლის მანძილზე ეს კოქტეილი მხოლოდ 60-ჯერ შეუკვეთეს.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77;
899 32-85-76.

## ◉ კადრი



## ◉ ინფორმაცია

### 68 წლის მამაკაცი 32 წლის მეზობელმა დაჭრა!..

**შემთხვევა** გუშინ მოხდა. მამაკაცი მუცლის არეში მიყენებული ჭრილობებით რესპუბლიკურ საავადმყოფოშია გადაყვანილი.

სისხლიანი გარჩევა მეზობლებს შორის დაიწყო და... უკვე ცნობილია, რომ მოხუცი 32 წლის მეზობელმა – გიორგი ბალიაშვილმა დაჭრა.

არსებული ცნობით, ბალიაშვილს ფსიქიკური პრობლემები აქვს, რის გამოც არ გამორიცხავენ, რომ შემთხვევას კონკრეტული მიზეზი არც ჰქონდეს.

დაჭრილ მოხუცს 20-მდე ჭრილობა აქვს მიყენებული, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. რაც შეეხება ინციდენტში ეჭვმიტანილს, მან შემთხვევის შემდეგ თავის მოკვლა სცადა.

ჯი-ეიჩ-ენი

ავტორთა საყურადღებოდ!
**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.** ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
299-62-77; 599 36-00-35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24